წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 22 მარტი 1916 წ. № 65

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ. დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საარტისტო საზოგადოების დარბაზი

კვირას, 27 მარტს, გაიმართება პირველად თბილისში

დიდი საჯარო ქართული სიტყვა-მუსიკობა კ. ფოცხვერაშვილისა

სიტყვის თემა: „ქართული ხალხური სიმღერა-გალობა და მისი ჰარმონია—კონტრაპუნქტი“.

სამუსიკო განყოფილებაში საუკეთესო მომღერალ-დამკვრელთაგან შესრულებული იქნება მრავალი ახალი ქართული სიმღერა-ჰიმნ-საგალობელნი.

გარჩეული იქნება თემატიურად და შესრულდება როიალზე პირველი ქართული სიმფონიური პოემა

„თქმულება ამირანზე“ კ. ფოცხვერაშვილისა.

თვითონ ფოცხვერაშვილი საილუსტრაციო ნიმუშთა შორის შეასრულებს სიმღერით და დაკვრით თორმეტ სხვა და სხვა ერთა კილოებს; იტყვის ქართულ ხმებს: **„ჩანგურულს“, „მესტვირულს“, „ღიღინს“, „ვეფხის ტყაოსნის შაირს“** და წაიკითხავს (გალობით) ქართულ სახარებას.

ბილეთები 5 მანეთიდგან ათ შაურამდე ამთავითვე იყიდება ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. აფიშები არ გამოვა.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

ფასი ფასი: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ახალი კლუბი

პარასკევს 25 მარტს 12 საათზე სიტყვაკაზმულ საზოგად. საბჭოს თაოსნობით

გაიმართება **დილა**

სანდრო შანშიაშვილი წაიკითხავს თავის ახალ ნაწარმოებს

„ბერდო ზმანია“-ს

დასურათებულს მხატვარ ვალ. სიდამონიძე ერისთავის მიერ.

სურათებს თვით ავტორი ეკრანზე (ბუნდოვან სურათებად) მსმენელთ უჩვენებს. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

წევრნი ქართულ სიტყვა კაზმულ საზოგადოებისა დილაზე შესასვლელ ფასს არ იხდიან. დილის გამგე—ქართ.-სიტყვა კაზმული საზოგადოების საბჭო.

ქართლის მეურნეთა საყურადღებოდ

საერთო კრება და **გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** გახსნა **დანიშნულია მარტის 25 ქ. გორში, გორის თვითმართველობის** დარბაზში სრულ 12 საათზე.

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. გამგეობის ამორჩევა, 2. 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 3. კოოპერატიული სექციის დაარსება საზოგადოებასთან (სამეურნეო იარაღის საწყობის გახსნა ქ. გორში). 4. მოხსენება სოფლის მეურნეთა მდგომარეობის შესახებ.

სავალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და

ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა

„მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

იბეჭდება კრებული
მერანი
პრემია № 1.
ფასი 2 მანეთი

სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები. უალრესი სისუფთავე. ელექტრონის განათება

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

შეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ვაგზლის საავადმყოფოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

(თ.—126—6)

განცხადება

იმ ხელშეკრულობის ძალით, რომელიც 1916 წ. 24 თებერვალს დაიდო **ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტსა და ინჟენერ ივანე სერგეის ძე პონდოევის შორის**, მისი საწყობიდან, რომელიც მოთავსებულია თბილისში ელისაბედის ქუჩაზე № 127 და 164, იძლევიან თავდაცვისათვის საჭირო ყოველგვარ რკინეულობას და სხვა საამშენებლო მასალას პირობის წერილში განსაზღვრულის ნიხრით.

ყოველგვარ ცნობებისა და მასალის მისაღებად უნდა მიჰმართონ სამხ. სამრ. კომიტეტის სამექანიკო განყოფილების კანტორას, ელისაბედის ქუჩა № 184

(10—120—9)

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი ხვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი მ. გ. ვეფხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

20—67—10

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ტელეფონი, 17—21.

ვასწავლი

ქართულ **„სიმღერა-გალობას“** ჰ ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს, დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა

მიხეილ კავსაძესთან

(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლა.—ორშაბ., ოთხშაბ. ჰ პარასკეობ. საღ. 6-9-დე).

ვასწავლი მუშა ხალხსაც.

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 19 მარტი. დასავლეთი ასპარეზი. ოფიციალი. გერმანელები განაგრძობენ იქსკიულის მიდამოებში რუსთა სიმაგრეების ნგრევას, თანაც იერიშები მოაქვთ, მაგრამ ყოველთვის მოგერებულ იქნენ. იმავე რაიონში წყალდიდობამ აიძულა გერმანელები თხრილების მაღლა ამოსულიყვნენ, მაგრამ რუსებმა არტილერიის ცეცხლით უკანვე გააბრუნეს და თხრილებში ჩაჰრეკეს. ლევენპოფის სამხრეთით რუსთა ბატარეამ ჩამოაგდო გერმანელთა ჰაეროპლანი. აპპარატი მცირედ არის დაზიანებული. მფრინავნი დატყვევებულ იქმნენ. დვინსკთან სროლაა. დვინაზე ყინული ლხვება. დვინსკის სამხრეთ რაიონში რუსთა არტილერიამ დაუშინა მტრის მატარებელს ტურმონტის სადგურთან. გერმანელები გაიქცნენ: ვიძის ფრონტზე ნაროჩის ტბასთან ადგილ-ადგილ საარტილერიო სროლაა. სამხრეთით მკვირცხლი სროლაა. კოლკის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელებმა დასტოვეს პირველი ხაზი თხრილებისა და მეორეზე გადავიდნენ. ოლიკის სამხრეთით გერმანელებმა ის-ის იყო დაიბრუნეს წინა დღეებში დაკარგული მაღლობი, მაგრამ რუსებს მაშველი ჯარები მოუვიდათ და კონტრიერიშით უკუჰყარეს. მთელ დღის განმავლობაში გუშინ ტყვედ წამოვიყვანეთ 71 კაცი. დავლად მრავალი თოფი წამოვიღეთ.

კავკასიის ფრონტი. მუშის რაიონში, სურბ-ახპერივოს მონასტერთან, რუსის რაზმები შეიჭრნენ მაჰმუბანკში. მიუხედავად ოსმალთა სასტიკი წინააღმდეგობისა რუსებმა მაინც გაჰრეკეს და ეს პუნქტი ჩაიგდეს ხელში.

პეტროგრადი, 20 მარტი. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. იქსკიულის ხიდის წინ მცირე შეტაკება მოხდა. ნოვოსელკის რაიონში ავაფეთქეთ ნაღმი. სად. ბარანოვიჩის ჩრდილოეთით გერმანელთა პატარა რაზმებმა იერიშები მოიტანეს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. სად. სამარუს თავზე, მინსკის რკ. გზაზე ბარანოვიჩზე და სხვაგან გერმანელთა ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს. დაბა ოლიკის სამხრეთით გერმანელებმა იერიშები განაახლეს რუსთა მიერ დაჭერილს მაღლობზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ და დიდი ზარალიც მოუვიდათ. ზემო სტრიპთან რუსებმა გაჰფანტეს მტრის რაზმები. წყალდიდობა მძვინვარებს.

კავკასიის ასპარეზი. ზემო ჭოროხის ხეობაში რუსები დიდს გაჭირვებას განიცდიან, მაგრამ მაინც წინ მიდიან. აღნიშნულს რაიონში გამაგრებულ პოზიციებიდან გარეკილ იქმნენ ოსმალები.

—

პარიჟი, 19 მარტი. დღისით მოსული ცნობა. მდ. ენის ჩრდილოეთით საარტილერიო სროლაა, განსაკუთრებით მკაცრს ხასიათს იღებს მულენ-სუვანისა და ფონტენუს რაიონებში. არგონებში ზარბაზანი დავუშინეთ რკინის გზის ლიანდაგს. მალან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურის რაიონში დროგამოშვებით საარტილერიო სროლაა. ქვეითი ჯარი არ იღებს მონაწილეობას. მაასის აღმოსავლეთით გუშინ საარტილერიო სროლამ უმწვერვალესად მიიღო მკაცრი ხასიათი ტყისა და ოდრემონის შუა და ვოს რაიონში. უკანასკნელს პუნქტში გერმანელებმა ორჯელ მიიტანეს იერიში. პირველი იერიში ჩრდილოეთიდან სამხრეთით მოჰქონდათ, მაგრამ ვიდრე პირველ ხაზამდინ მოაღწევდნენ, გაფანტულ იქმნენ. მეორე იერიშზე კი მკაცრი ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა მოახერხეს სოფლის დასავლეთ ნაწილში შეჭრა, რომელიც მანამდე ჩვენ გვეჭირა. ვევრში გერმანელებმა რამდენჯერმე ქარიშხლისებური ცეცხლი გაუჩინეს მაასის მაღლობთა ქვეშ გაყოლებულს სოფლებს. დანარჩენს ფრონტზე სიწყნარეა.

პარიზი, 19 მარტი. წინა პოსტის ბატალიონმა დასცალა სოფ. მალანკური, თუმცა გერმანელთ დიდი ზარალი მიაყენა. ამ ცნობაში არავითარი მოულოდნელი რამ არ არის. დიდი ხანია ვხედავდით, რომ ეს ასეც იქნებოდა. მალანკურიდან მხოლოდ ერთი სარდაფები-ღა გადარჩა, სადაც ვიყავით შეჩერებული, მუდამ განსაცდელს მოველოდით. ასეთივე შიში გველოდა მის აქეთ მდებარე ტეტენკურში. ტაქტიკურის თვალსაზრისით ამათი დაცლა დიდს გავლენას არ იქონიებს შემდეგ პოზიციების დაცვაში. „304“ მაღლობის ბატარეებიდან იცავენ სოფლის გასავალ კარს. ფრანგთა ხაზი ეხლა მისდევს მალანკურის უკან და ოკურის მახლობლად მდებარე დაბასთან. 6 საათზე მოვიგერეთ გერმანელთა იერიში „295 მაღლობის ჩრდილო-დასავლეთით. სასტიკი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ უკუგდებულ იქმნენ პირველ თხრილებიდანვე, სადაც მოასწრეს მოსვლა. ასევე შეჩერებული იქმნა მათი კონტრიერიში. ოდიკურის აღმოსავლეთით გერმანელებმა სამჯერ იერიში მოიტანეს, მაგრამ უნაყოფოდ. რაც წარმატება ნახეს გერმანელებმა მეტად ძვირად დაუჯდათ ჩვენგან.

პარიზი, 20 მარტი. დღისით მოსული ცნობა. მაასის დასავლეთით საკმაოდ ძლიერი საარტილერიო სროლაა ავოკურის ტყისკენ, ჩვენს პოზიციებზე. ქვეითი ჯარს იერიშები არ მოუტანიათ. ღამემ წყნარად ჩაიარა. დუომონვოს რაიონში გერმანელები აღარ სცდილან იერიშები მოეტანათ. ვევრში სუსტი საარტილერიო სროლა იყო. მთელს დანარჩენს ფრონტზე საგულისხმიერო არა მომხდარა რა.

ლონდონი, 20 მარტი. დღეს მტერმა ზარბაზნები დაუშინა ლაიონს. ასევე ენერგიულად მოქმედებდნენ იპრის მახლობლად, თუმცა ზარალი დიდი არ მოგვსვლია. საარტილერიო დუელი მოხდა სტელორის მახლობლად. გერმანელთა იერიშები ხელით სასროლი ყუმბარებით მოგერებულ იქმნა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

დვინის ასპარეზზე.

გერმანელი ტყვეები გადმოგვცემენ: გერმანეთის ჯარი დიდ მზადებაშია და მალე გადამჭრელ ბრძოლას დაიწყებენ. როგორც უბრალო ჯარის კაცი, აგრეთვე უფროსებიც დარწმუნებულნი არიან, რომ გაზაფხულის ბრძოლა გადასჭრის მსოფლიო ომის ბედ-იღბალს. იმ შეკითხვაზე, თუ რამდენათ დარწმუნებულია გერმანეთი ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს, ტყვეები გადაჭრილ პასუხს არ იძლევიან, მხოლოდ ამბობენ: როგორ დამთავრდება ომი არავინ იცის, რადგანაც უბრალო შემთხვევას შეუძლიან შესცვალოს ძალთა სითანაბრე, რის გათვალისწინებაც წინ და წინ შეუძლებელიაო.

პოზიციური ბრძოლა.

დასავლეთ ასპარეზზე პოზიციური ბრძოლა დაიწყო ნევილთან და ვერმელთან, რეიმსიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ესეთივე მდგომარეობაა არგონებში და ვოგეზებში. მაასის მიდამოებში ზარბაზნებით ბრძოლა გაჩაღდა დუომონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, კაილეტის ტყეში ღამ-ღამობით ხელის ყუმბარებით ბრძოლაა. ჩრდილოეთ-ზღვაზე მოქმედების შესახებ გერმანეთის შტაბი იუწყება: ჩრდილოეთ შლეზვიგში, ინგლისის ხუთი ჰიდროაეპლანი ცეპელინების საწყობებს თავს დაესხა. ჰაერში მკაცრი ბრძოლის შემდეგ ინგლისელი მფრინავები უკუვაგდეთ, ინგლისელების სამი ჰიდროპლანი-კი იძულებული იყვნენ ძირს ჩამოშვებულიყვნენ. დანიის ნაპირებთან შეუმჩნევიათ გერმანეთის ესკადრა, რიცხვით შვიდი კრეისერი და რამდენიმე ნაღმოსანი, რომლებსაც ინგლისის ათი გემი გამოჰკიდებოდა. ნაშუადღევს საშინელი ზარბაზნების სროლის ხმა მოისმოდა. დანამდვილებითი ცნობა არ მოსულა.

ვერდენის ასპარეზი.

ლონდონიდან იტყობინებიან: საფრანგეთის ასპარეზზე მყოფი სამხედრო კორესპონდენტები აღნიშნავენ ფრანგთა მდგომარეობის გაუმჯობესობას. ამის დასამტკიცებელი ის არის, რომ ვერდენთან უკვე დაიწყო პოზიციური და მიწის ქვეშ ბრძოლა ნაღმების და ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით. ეს ნათლად ამტკიცებს, რომ გერმანელთა მკაცრი შეტევა შეჩერებულია.

„Sussex“-ზე თავდასხმა.

საფოსტო გემის „Sussx“-ზე თავდასხმის დროს, როგორც ირწმუნებიან, სხვათა შორის დაიღუპა ამერიკელი გამოჩენილი ფსიხოლოგი, პროფესორი მექსიკანის უნივერსიტეტისა დჟემს ბალდუინი (ამერიკის ქვეშევრდომია) თუ დამტკიცდა, რომ ამ თავდასხმაში გერმანეთის წყალქვეშამ მიიღო მონაწილეობა, შეერთებულ შტატებსა და გერმანეთს შორის დიპლომატიური განხეთქილება მოხდება. „Sussex“-ის კაპიტანი ამბობს: როდესაც მოგვიახლოვდა წყალქვეშა და ნაღმი გამოუშვა, უცბათ მოვატრიალე გემი, ამისათვის შუაგულ გემის ნაწილს ასცდა ნაღმი, ეს იყო მიზეზი რომ „Sussex“მა შესძლო თავისი ძალით ბულონამდე მისვლა.

შუმსკის აზრი.

დღეს ყველას ყურადღება მიპყრობილია დვინსკის ასპარეზზე, სადაც ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო; დღემდე არ არის გამორკვეული ბრძოლის შედეგები. დვინსკის სამხრეთით, პოსტავის მიდამოებში ბრძოლამ მკაცრი ხასიათი უფრო იმიტომ მიიღო, რომ ამ ხაზით ჩვენმა ჯარმა ცოტათი წინ წაიწია, მტერს არ უნდა გამოეთხოვოს წართმეულ ადგილებს და კონტრ-იერიშებით წინ მოიწევს. ამას გარდა, როგორც აღნიშნული იყო, გერმანეთს თავის ჯარი დასავლეთ ასპარეზიდან რუსეთისაკენ გადმოუყვანია, რასაც ის ჰმოწმობს, რომ მტერი ჩვენს შეტევას კონტრ-იერიშით უპასუხებს. ჩვენ უნდა მოველოდეთ მტრის ახალ შემოტევას, თუმცა ბრძოლის ხაზის პატარა შეცვლა მდგომარეობას არ გამოსცვლის. გერმანელებმა თუმცა ხმა გაავრცელეს, რომ გაზაფხულზე ყველა ბრძოლის ასპარეზზე: საფრანგეთისა, რუსეთისა, იტალიისა, ეგვიპტისა და სალონიკისაზე „ბრძოლის ცეცხლს“ გავაჩენთო, მაგრამ ამ გვარ შეტევას ვერ შესძლებს გერმანეთი. ამისათვის გადაჭრით შეიძლება ვთქვათ, რომ რუსეთის ასპარეზი უნდა მოელოდეს გერმანელთა ძლიერ შემოტევას, მით უფრო რომ მთელი ზამთრის განმავლობაში ორთავე მხარე თავს იკავებდა ბრძოლისაგან, რაც ორივ მხარეს საშუალებას აძლევდა სამხედრო ძალა გაეძლიერებინა.

შარშან გაზაფხულის და ზაფხულის ბრძოლის დროს მტერმა შესძლო 200 ვერსით წინ წამოწევა, ისე რომ მიზანს მაინც მთლად ვერ მიაღწია, მაშასადამე, გერმანელები ეცდებიან შეტევა განაგრძონ ჩვენ ცენტრებისაკენ, მაგრამ საკითხია რამდენად შესძლებენ მიზნის მიხწევას, რადგანაც ჩვენს გაძლიერებულ ძალას ანგარიში უნდა გაუწიონ.

ექიმთა ყრილობა ვარშავაში.

1 და 2 მაისს (ახ. სტ.) ვარშავაში მოხდება ექიმთა ყრილობა; დასწრება შეუძლიანთ გერმანეთის ან მის მოკავშირეთა ქვეშევრდომთ; ყრილობას დაესწრებიან სამხედრო და სამოქალაქო ექიმები. ყრილობაზე განხილული იქმნება ის საკითხები, რომლებიც ომს გამოუწვევია, მაგალ. სახადი, გულის ავადმყოფობანი, თირკმელების ავადმყოფობა, ხოლერა, ვენერიული ავადმყოფობა და სხ.

ბულგარელები რუმინეთის საზღვრებზე.

რუმინეთიდან იტყობინებიან: ბულგარელებმა რუმინეთის საზღვარზე 120.000 კაცს მოუყარეს თავი და ყოველ შემთხვევისათვის მზათ არის.

რესპუბლიკის აღდგენა ჩინეთში.

იუანშიკაიმ მიიღო იაპონიის ელჩისაგან განცხადება: ჩინეთში გამეფებული ამბოხება და არევ-დარევა ხელს უშლის ჩინეთში მცხოვრებ იაპონელთა ნაყოფიერ მუშაობას. იაპონიამ თავის დროზე გააფრთხილა ჩინეთის მთავრობა და ურჩევდა, მონარქიის აღდგენის საკითხი შეეჩერებინა; ეხლა კი იძულებულია მოითხოვოს იუანშიკაისაგან ოფიციალური განცხადება, რომ იგი არ აღადგენს მონარქიულ წესწყობილებას. თუ ეს განცხადება არ იქნება მხედველობაში მიღებული, მაშინ იაპონია იძულებული გახდება მეამბოხეთ მიემხროს რომელთაც უნდათ ნანკინი ჩინეთის სატახტო ქალაქად გამოაცხადონ და მიიწვიონ პარლამენტის კრება, იმ შემადგენლობით, რომელიც მეორე რევოლიუციის დასაწყისში დათხოვნილ იქმნა. ამის შემდეგ იუანშიკაიმ საჩქაროდ გამოსცა დეკრეტი, სადაც ხელს იღებს მეფობაზე

უმაღლესი ბრძანებით, რესპუბლიკანური კანონები, რომლებიც მონარქიის აღდგენის წინ გაუქმებული იქმნა, აღადგინეს. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ვიცე-პრეზიდენტი ლიუალ-გული.

დამოუკიდებელი პრესა გადმოგვცემს: იუანშიკაიმ გადასწყვიტა პრეზიდენტობაზე უარი სთქვას. ოფიციალი უარს ჰყოფს ამ ხმებს და დასძენს: პეკინის მთავრობამ ლაპარაკი გამართა მეამბოხეებთანაო.

გერმანეთის რეიხსტაგში.

გერმანეთის რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ ბასსერმანის და სხვა პარტიების წინადადება შემდეგი სახით მიიღო: კომისია წინადადებას იძლევა შეტანილ იქმნას რეიხსტაგში კანცლერის საყურადღებოდ შემდეგი განცხადება: მას შემდეგ, რაც გერმანეთის წყალქვეშა ომმა ინგლისის წინაამდეგ, რომელსაც ჰსურს გერმანეთის დაუძლურება, სასურველი შედეგი მოგვცა, რეიხსტაგს სწამს, რომ წყალქვეშა გემები კვლავ განაგრძობენ ინგლისის წინაამდეგ მოქმედებას.

„პორტიუგალ“-ის დაღუპვა.

17 მარტს, 8 საათ. და 25 წ. დილით, რუსეთ-საფრანგეთის სასანიტარო გემი „პორტიუგალ“-ი ოფფის მახლობლად, ანატოლიის სამხრეთ ნაწილთან, გერმანელთა წყალქვეშამ ნაღმით დაღუპა. ამის შესახებ წითელჯვრის მთავარმა უწყებამ ყველა სახელმწიფოთა წითელჯვრის მთავარ კომიტეტებს შემდეგი შინაარსის დეპეშა დაუგზავნა: „17 მარტს სასანიტარო გემი „პორტიუგალი“ შავ ზღვაზე წყალქვეშამ დაღუპა. ამასთან ერთათ დაიღუპა 115 სანიტარი. რადგანაც „პორტიუგალს“ ჩვენი მტრები იცნობდნენ, მასთანვე შესაფერი ნიშნებიც ჰქონდა, როგორიც ჰააგის კონვენციამ მიიღო, შეუძლებელია „პორტიუგალის“ შეცდომით დაღუპვა. ამის გამო რუსეთის წითელიჯვრის საზოგადოება დიდ გულისწყრომას უცხადებს, ამ შემზარავ ამბის ჩადენისათვის მტერს და მოაგონებს, რომ თავიანთ საქციელით დაარღვიეს ჰააგის კონვენციაზე 1907 წ. მიღებული წესი“.

უკანასკნელი ფოსტა

„ცეპელინები“

ლონდონიდან იტყობინებიან: 18 მარტს საღამოთი გერმანელთა ხუთი ცეპელინი კვლავ თავს დაესხა ინგლისის აღმოსავლეთ საგრაფოებს და სხვა ადგილას 90 ყუმბარა ჩამოაგდო. რა ზარალი მიაყენეს ყუმბარებმა, დაწვრილებით არ იციან. კიდევ იტყობინებიან: მტრის მფრინავები თავს დაესხნენ აგრეთვე დასავლეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებს. დაწვრილებითი ცნობა არ არის მიღებული.

ზღვაზე ბრძოლა

ინგლისის გაზეთები ხილსთან ზღვაზე ბრძოლას ასე აწერავენ: ინგლისის გემებმა დიდი ქარიშხლის დროს მიიტანეს მტერზე იერიში. თოვლის ქარბუქის გამო შეუძლებელი იყო გემთა შეთანხმებული ბრძოლა. გემებს თან ახლდათ ჰიდროპლანები, მაგრამ ცუდი დარის გამო მათი ნიშნების გარჩევა შეუძლებელი იყო. ინგლისის გემები მხოლოდ მაშინ უშენდნენ ზარბაზნებს, როდესაც მტერი უახლოვდებოდა. გერმანელების ორ კონტრ-ნაღმოსანს ცეცხლი მოედო და ჩაიძირა. ინგლისის გემი „კლეოპატრა“ სულ მოულოდნელად მეჯახა მტრის მესამე ნაღმოსანს, რომელსაც ეტაკა და მალე ჩასძირა კიდეც.

ბრძოლის ველზე

წინაამდეგ სამხედრო მიმომხილველთა წინასწარმეტყველებისა, ვერდენის ოპერაცია არა თუ არ შეჩერდა და „სრულის კატასტროფით“ არ გათავდა, როგორც ნაადრევად გვარწმუნებდნენ, პირიქით, იგი განვითარების ახალს ხანაში გადადის. სამხედრო მიმომხილველნი აზრს იცვლიან. ეხლა ესენიც დაბეჯითებით გვარწმუნებენ, ახლო მომავალში უნდა მოველოდეთ ახალს შეტევას, უფრო ფართე და მკაცრი სახისა, ვიდრე ეს ვნახეთ დღემდინაო. რუსეთის ასპარეზზე ყინული ლხვება, ფართო შეტევის დაწყებას ვერ მოვახერხებთ, მაშასადამე გერმანელებიც ამ დროთი ისარგებლებენ და ჩვენი ასპარეზიდან ჯარს მიიშველებენ ვერდენთან საქმის დასასრულებლად.

ჩვენ არ გვგონია რუსეთის ასპარეზი გერმანეთმა იმაზე მეტად შეასუსტოს, რაც დღემდე მოხდა, მაგრამ ყველა ის, რაცა ხდება, ანუ რაც ოფიციალ ცნობებს ყოველდღიურად მოაქვს ჩვენთან ახალ ამბებად, ცხადს ჰყოფს, რომ ოპერაციის ლიკვიდაციაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რომ ლაშქრობის ძალა არც შესუსტებულა და არც ნიშნებია მოქანცულობის. ამ მხრივ საინტერესოა 20 თებერვლის ცნობები. გერმანელთ საშინელი არტილერიის სროლა აუტეხიათ ცრემლის გამომწვევ ყუმბარებისა ავოკურისა და მალანკურის შუა პოზიციებისთვის. როგორც ვიცით, მთელი ეს მხარე ვერდენისათვის საიდუმლო მასალებს წარმოადგენს. ვიცით ისიც, რომ მთელი კვირის განმავლობაში აქ ბრძოლა იყო გაჩაღებული. გვეხსომება იერიშები ბეტანკურის, კორბოს ტყისა, ამათი დაპყრობის შემდეგ სასტიკი ლაშქრობანი მორტომისა და კიუმიერის მაღლობებზე. ამათი აღება ერთი დარტყმით რომ ვერ მოახერხეს, მამაც ფრანგებს საშუალება მიეცათ ხსენებული ადგილები მორტომ-კიუმიერი ძალზე გამაგრებინათ. უთუოდ, ამ გამარჯვებით ფრანგებმა ისახელეს თავი, რის შემდგომაც ციხის დამცველი გენერალი პეტენი სამართლიანად უსაყვარლესი გმირი გახდა ფრანგებისათვის. თავის მხრით გერმანელთაც ადგილი უნდა ეცვალნათ. მოქმედებაზე ხელის აღება ძლევა-მოსილ პრესტიჟის დაცემას მოასწავებდა, მაშასადამე, უნდა განეგრძოთ კიდევ. და აი, მას შემდეგ დაიწყეს ფრთხილი და მეთოდიური ნაბიჯით შორით შემოვლა. როგორც ვიცით, შემოვლა სწარმოებდა მხოლოდ და მხოლოდ ზარბაზნების ძლიერი სროლით. ამით საგრძნობელ წარმატებას მიაღწიეს და, როგორც ოფიციალ ცნობებიდანაც დაინახავთ, მათ ხელთ იგდეს მალანკური, ტეტანკური და ახლა ჯერი „295“ მაღლობზე და თვით მთავარ გასაღებ კიუმიერის მაღლობებზე მიდგა.

ვერდენის ოპერაცია არ დათავებულა. იგი მხოლოდ და მხოლოდ უკიდურეს სიმწიფის ხანაშია...

X.

თბილისი, 22 მარტი.

მთავრობა და სოფლის საჭიროებანი მის იმპერატორობით უმაღლესობას კავკასიის მეფის ნაცვალს განკარგულება მოუხდენია, რომ მთავრობამ დაწვრილებით გამოიკვლიოს ჩვენი მეურნეობის საჭიროებები და სათესლის, სამუშაო იარაღის თუ სესხის მიწოდებით ჩვენს სოფელს მოსალოდნელი განსაცდელი ააშოროს. ჩვენი ერი მთავრობის მზრუნველობით განებივრებული არასოდეს არ ყოფილა და როდესაც გვესმოდა—რუსეთში ცენტრალი მთავრობა მეურნეობის საჭიროებების მოწესრიგებას შეუდგაო, იქვე გვებადებოდა—იქნებ ეხლაც, როდესაც ჩვენი სოფლის მარჩენალნი ზოგი მტერთან ბრძოლაში განიწირა და დანარჩენი კი ბედის საიდუმლო კარნახის მოლოდინშია, ჩვენი კუთხე მივიწყებული დარჩესო. კავკასიის მთავრობამ უკვე მიმართა ადგილობრივ სამეურნეო დაწესებულებას—გამოარკვიეთ მეურნეობას რომელ კუთხეში რასჭირია და მთავრობა ყოველგვარ დახმარებას აღმოგიჩენთო. ეხლა უკვე ჯერი ჩვენს საზოგადოებაზედ მიდგა. ჩვენს საქმიანობაზედ არის დამოკიდებული, მთავრობის დაპირებანი სინამდვილედ იქცევა, ჩვენი მეურნეობის მდგომარეობა გაუმჯობესდება თუ მთავრობის სურვილი ლამაზ სიტყვად დარჩება.

ვინ და როგორ უნდა გამოარკვიოს ჩვენი სოფლის საჭიროებანი? ჩვენს ქვეყანაში რომ დამუშავებულ მიწების რაოდენობა შემცირდა, და შემცირდა გაცილებით მეტად, ვინემ რუსეთში, ყველამ უწყის.

მეორეც, ზოგს სოფელს უკვე დამუშავებული ყანების მოვლა და დაბინავება რომ გაუძნელდება, ესეც საეჭვო არ არის, სად და რაოდენად დაზარალდა სოფელი ამას უნდა გამოკვლევა. რომელ კუთხეს რა უფრო სჭირდება—მუშა ხელი, სამუშაო საქონელი, სამეურნეო იარაღი თუ სათესლე და წამალი—დაახლოვებით მაინც უნდა გამოირკვეს. სანამ ეს არ

საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მასალები

იმის გამოსაკვლევად, თუ რა ეკონომიური ვითარება სუფევს ჩვენში და რა სოციალური ზნექვა სწარმოებს ეხლანდელ ჩვენი ცხოვრების სარბიელზე, საჭიროდ მიგვაჩნია გავითვალისწინოთ ქართველი ხალხის საქმიანობა უკანასკნელ ათი-თხუთმეტიოდე წლის განმავლობაში[1]. ჩვენი გამოკვლევა უმთავრესად ქუთაისის გუბერნიით განისაზღვრება, მაგრამ აქედან ამოკრებილი ფაქტები და სავაჭრო-სამრეწველო სტატისტიკური ცნობები ზოგადი მთლიანობით მთელი ქართველობის ეკონომიური განვითარებისა თუ მდგომარეობის დამახასიათებელი იქნება.

საქართველო ბუნებით საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა. სურამის ქედი, საქართველოს საბედისწერო დამანაწილებელი ზღუდე ამერ-იმერეთის მდინარეებსაც ჰყოფს და აძლევს მათ განსაკუთრებულ მიმართულებას. ამერეთის მტკვარი და იმერეთის რიონი ფიზიკურად ურთიერთს არაფრით არ უკავშირდება და მიილტვიან—ერთი აღმოსავლეთით, მეორე კი დასავლეთისკენ. მდინარე მტკვრის ხეობას მარცხენა მხრით ლიახვისა, არაგვისა, იორისა და ალაზნის ხეობები გადასჭრიან და მარჯვნით—ალაეთისა, ქციახრამისა და ბერდუჯის მდინარის ხეობანი; რიონის თვალსაჩინო მარცხენა ტოტები არის: ყვირილა-ძირულა, ხონის-წყალი; მარჯვენა კი—ტეხური და ცხენის-წყალი. ამათ გარდა იმერეთს რწყავს სხვათა შორის შემდეგი მდინარეები: კაპეტის წყალი (ბსიბი), კოდორი, ენგური, ხოპის წყალი, ნოტანები და ჭოროხის ქვედა ნაწილი. კავკასიონის თუ სურამის მთა ბ ბორცვები ჰყოფს ამ მდინარეთა ხეობებს ბ თუმც ისინი საკმაოთ სარწყავ სინამეს იძლევიან, მაგრამ ერთმანეთზედ ძალიან დაშორებულნი არიან და მთლიანს ფართოთ გაშლილს, ვრცელ, გამაერთიანებელ ვაკეს ვერ ჰქმნიან. რიონის ხეობა, უფრო გაშლილი და წარმტყვევი ვაკეა, რომელიც ყვირილიდან მოკიდებული შავ ზღვამდე თანდათან განიერდება სენაკის მაზრის ბოლოს ეგ ვაკნარი სიგანით 45 ვერს აღწევს.

მტკვრის გაშლილი ფართო ვაკნარი კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირზე ჩვენ უკვე მე-8-ვე საუკუნიდან აღარ გვეკუთვნის. ასე რომ ვერც ერთი მდინარე ჩვენს მხარეს სხვა სამსახურს, გარდა სარწყავ მასალის მოწოდებისა საკმარისად ვერ უწევს: რიონის შესართავი ძალზე ისილება მთებიდან ჩამოტანილ სილით (შლამით), რომელიც ნავთსადგურსაც ჰსილავს[2]. თვით რიონის ვიწრო კალაპოტი დიდი და ფართო ნავთსაყუდრის შექმნას ხელს არ უწყობს. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან რიონის ოდენა მიმღებ-მბოძებელი მხარე (flinterlaud) არც ერთ ჩვენს მდინარის შესართავს გარდა მტკვრისა არ აქვს.

მტკვარის შესართავს და ბაქოს ნავთსაყუდარს ჩვენთვის მხოლოდ შორეული მნიშვნელობა აქვს.

მეორე ნავთსაყუდარი—ბათომი (Bathys limen ძველათ) უფრო ვრცელია, სილნარისაგან ფოთზედ უფრო უზრუნველ ყოფილი თან თვით ნავთსადგურიც უფრო ღრმა და ფართოა.

ბათომს სხვა ჩვენს ნავთსაყუდელთა შორის უთუოდ პირველი ადგილი უჭირავს. ბათომის მნიშვნელობა თანდა-თან მატულობს. 1898—1902 და შემდეგ წლებშიც ბათომის ნავთსაყუდარმა ძალზე დასცა ტრაპიზონის მნიშვნელობა. ჩვენი უცხოეთთან სავაჭრო - სამრეწველო დამოკიდებულება, ხმელეთის სამეურნეო გზათა და მიმართულებათა დაკავშირება დასავლეთთან უმეტესათ ბათომის საშუალებით სწარმოებს.

მესამე ნავთსადგური სოხუმი-კი ვრცელ მიმღებ-მბოძებელ მხარეს მოკლებულია. მისი მდებარეობა, შორს ჩრდილოთ, სავაჭრო და სამრეწველო უმთავრეს მიმართულებას—რიონის ვაკნარს დაშორებულია და ეს მოვლენა ძალზედ ხელს უშლის მის განვითარებას. ბიჭვინთა, როგორც ნავთსაყუდარი რაიმე თვალსაჩინო როლს არ თამაშობს. რაც შეეხება ჩვენდა მდინარეების მნიშვნელობას ნაოსნობის თვალსაზრისით, ჭოროხზე მთელი წლის განმავლობაში ცოტაოდენი ნაოსნობა სწარმოებს ვიწრო პრტყელ ძირა მჩატე ნავებით, რომლითაც შეიძლება 150 ფუთი ტვირთის გადაზიდვა ან 20მგზავრის გადაყვანა რომელნიც ზამთარ-ზაფხულ მუშაობენ მდინარეზე. დანარჩენი მდინარენი ვაჭრობა-მრეწველობას, ვერავითარ სამსახურს ვერ უწევს. მხოლოდ მთებიდან გამომდინარე წყლები ხე-ტყის ჩამოსატანად მოიხმარება. სამაგიეროთ მდინარეთა უხვი სინოტივე ანოყიერებს ვაკეებს, ხოლო ლამაზათ აყრილი უხვი მთა-ბორცვები თავიანთი იალაღებითა და ტყეებით მეჯოგეობისა და ხე-ტყის მრეწველობის განვითარებას ხელს უწყობს.

მიმოსვლის საშუალებანი ისევ თვით ხმელეთზეა საძებარი. 1890 წლიდან გვაქვს დიდმნიშვნელოვანი. რკინის გზის ლიანდაგი—ფოთი-თბილისი-ბაქო, სიგრძით 835 ვერსი. ბათომიდან სურამის გვირაბამდე 204 ვერსია. ამ მთავარ ლიანდაგიდან გადის რამოდენიმე შტო საგულისხმო მიმართულებით. სადგურ რიონიდგან ქუთაისისაკენ და აქედან კი—ქვა-ნახშირიან მხარეს—დ. ტყიბულში. (42 ვერსია). სადგურ შორაპნიდან რკინის გზა გადის შავი ქვის რაიონში,—ს. დარკვეთამდე 44 ვერსი (შორაპანი-დარკვეთი- საჩხერემდე კი 49 37 ვერსი); სადგურ სამტრედიდგან ქ. ფოთამდე 62 ვერსი. საერთოდ ქუთაისის გუბერნიაში 1903 წ. ითვლებოდა 321,17 ვერსი სიგრძე რკინის გზის ლიანდაგი; აქედან მთავარ მიმართულებაზე მოდიოდა 162,03 ვერსი სიგრძე და შტოები კი 159,14 ვერსი.

ამ ლიანდაგით უკავშირდება ურთიერთს ჩვენი ქვეყნის ორივე ნავთსაყუდარი (ფოთი—ბათომი) ორივე უდიდესი სამრეწველო რაიონი (ჭიათურა—ტყიბული) მაზრები შორაპნისა, ქუთაისისა, სენაკისა და ოზურგეთისა. 1899 წ. ეს ლიანდაგი დაუკავშირდა კავკასიონის გადაღმა მხარეს და მთელს რუსეთსაც ახალი ლიანდაგით პეტროვსკი—დარუბანდი—ბაქო ერთის მხრივ, და სამხრეთის ე. ი. სპარსეთის მხარეს იმავე წელში გაყვანილ ლიანდაგით თბილისი—გუმბრი—ყარსი, ამ უკანასკნელს მიემატა 1901 წ. ლიანდაგი გუმბრიდან ერევნამდე და შემდეგ თვით სპარსეთის საზღვრამდე (ჯულფა).

გარდა რკინის გზისა, მიმოსვლა და საქონლის ზიდვა სწარმოებს აგრეთვე იმ გზატკეცილებით, რომელნიც ერთ სამრეწველო თუ სავაჭრო რაიონს მეორეს უკავშირებენ. ასეთი გზებია, მაგ. ხონის გზა ქ. ქუთაისიდან დ. ხონამდე 25 ვერსია; ქუთაისიდან გზა მიდის სამტრედია—სენაკამდე და აქ ჯვარედინდება სენაკისა და ნაქალაქევის გზა ე. ი. ახალსენაკიდან ნაქალაქევამდი 21 ვერსი და ახალსენაკიდან ზუგდიდამდი 41 ვერსი, ზუგდიდიდან ერთი გზა მიდის დასავლეთით დ. ანაკლიისაკენ 29 ვერსი, მეორე გზა კი ჩრდილოეთით სოხუმამდე $105^{1}/_{2}$ ვერსი; შარაგზა აერთებს ოზურგეთს რკინის გზის ლიანდაგთან სადგ. ნატანებით (გზის სიგრძე 18 ვერსია; ყველა ამ გზების შემაერთებელი სენაკის მაზრა და ქ. ქუთაისი გახლავთ. ქუთაისიდან მიიმართება კიდევ შემდეგი დიდი გზები სხვა და სხვა მხარეს: სამხრეთისაკენ: ბაღდადის გზა ქუთაისიდან ზეკარამდე 71 ვერსი (სამხედრო ზეკარის გზა), ჩრდილოეთით სამხედრო ოსეთის გზა ქუთაისიდან მამისონის ვიწროებამდე 157,56 ვერსი; ქუთაისისაკენ მიმავალ გზას უერთდება აგრეთვე ბათომისა და ახალციხის გზა 148,112 ვერსი; და ბათომ-ქობულეთ-ოზურგეთის გზა 63 ვერსი. სხვა ამგვარი გზები უერთებენ უმთავრეს მიმოსვლის მიმართულებას სხვა და სხვა კუთხეს სამწერლო თუ სამეურნეო მხარეებისას.

მიმოსვლის საქმე დასავლეთ საქართველოში საერთოდ ფრიად მოუწყობელია. რაჭისა, ლეჩხუმისა და აფხაზეთისაკენ მიმავალი გზები ხშირად ავდრების გამო სრულებით იკეტება.

ასეთია ის ბუნებრივი მიმოსვლის პირობები, რომელშიდაც დასავლეთ საქართველოს მოქალაქობრივი განვითარება სწარმოებს. ამ უკანასკნელის პროცესს ჩვენ ვყოფთ მისი წარმოების ბუნების მიხედვით სამ ხანად: 1) 1899—1903 წლები, 2) 1904—1906 წლები ანუ საზოგადოებრივი მოძრაობის დრო და 3) 1907—1914 წლამდე ანუ გამოფხიზლების დრო, როდესაც მოქალაქობრივ ზრდას და განვითარებას თან და თან უფრო და უფრო აჩქარებული მაჯის ცემა ეტყობა. ეს უკანასკნელი ხანა თავდება საერთაშორისო ომის დაწყებით, რომელმაც ჩვენს ვაჭრობა-მრეწველობას გაცილებით უფრო მეტი დაღი დაასო, ვიდრე სხვაგან.

ტიტე მარგველაშვილი.

(შემდეგი იქნება).

---

[1] საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ ძველეთში იხ. ჩვენი ნაშრომი Colchis, Iberien und Albanien um die Wende des I Jahrh. v. Cd. 1914.

[2] ob. w. Sievers „Asien“ გვ. 195.

მოხდება, მთავრობის დაპირებანი, თუ ჩვენი მზრუნველობა, ლიტონ სიტყვად დარჩება და ნამდვილს ნაყოფს ვერ გამოიღებს. ჩვენ ერთმა რამემ გაგვაკვირვა. როდესაც მთავრობა ქართულ სამეურნეო საზოგადოებას შეკითხებია —რა ზომების მიღება მიგაჩნიათ საჭიროდ, რომ მიწები დაუმუშავებელი არ დარჩეს და სოფელი განსაცდელში არ ჩავარდესო, მათ ვერ მოუხერხებიათ აღძრული საკითხის პრაქტიკულ ნიადაგზედ დაყენება. კრედიტი, რკინის გზით საქონლის შემოტანის გაადვილება და სხვა—ეს ხომ ისეთი საშუალებაა, რომელზედაც ორი წელია ყველა შუამდგომლობს და—სრულიად უშედეგოდ.

სოფლის საჭიროების გამოსარკვევად, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების აზრით, საკმარისია მოწვეულ იქმნეს ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელთა და მთავრობის ინსტრუქტორთა კრება. რომელი საზოგადოებრივი დაწესებულებები ჰქონდა სახეში ქართულ სამეურნეო საზოგადოებას, არ ვიცით.

ამ საქმის ერთად ერთი ნდობით აღჭურვილი საზოგადოება თვითონ ქართული სამეურნეო საზოგადოებაა და თუ იგი ვერ კისრულობს ამ მძიმე პასუხისმგებლობას, ჩვენ არ გვგონია ჩვენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ყრილობამ საქმის პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენება შესძლოს. სხვა დროს იქნებ განყენებულ მსჯელობებს და პლატონიურ სურვილებსაც სარგებლობა მოჰქონდეთ. ეხლა ამის დრო არ არის და ჩვენმა საზოგადოებამ მეურნეობის დახმარების საქმე თავიდანვე პრაქტიკულ ნიადაგზე უნდა დააყენოს.

რუსეთში სხვა პირობებია. იქ მეურნეობას ერთგული დარაჯი ჰყავს—საერობო თვითმართველობა. სამეურნეო სტატისტიკა ერობებს საუცხოვოდ აქვს დაყენებული და რომელ კუთხეში რა საჭიროებებია—კარგად უწყიან. ერობას გარდა ეხლა მთავრობაც ეხმარებათ და რუსეთის სოფლის გასაჭირიც, ჩვენთან შედარებით, მცირედია. მიუხედავად ამისა რუსეთში ფართე ხასიათის მეურნეთა ყრილობები გაიმართა, სადაც ნათლად გამოირკვა სოფლის საჭიროებანი. ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ.

სად რა უფრო საჭირო—მუშა ხელი თუ სათესლე, იარაღი თუ წამალი, სად რამდენად შემცირდა დამუშავებული მიწები არ ვიცით. იტყვიან—მთავრობას ამის შესახებ ცნობები ექმნება შეკრებილიო. უთუოდ, მაგრამ ეს ცნობები აქამომდე ყოველთვის მცდარი გამომდგარა. სამაზრო პოლიცია ალბად დარწმუნებულია, რომ მოუსავლობა, ან მიწების დაუმუშავებლად დატოვება მაზრაში მას დანაშაულად ჩაეთვლება ისე, როგორც ყაჩაღობის გავრცელება და სიმშილი კარზედ რომ იყოს მომდგარი, ის უმაღლეს მთავრობას უთუოდ აცნობებს მდიდარი წელი დაგვიდგაო.

სოფელ-სოფელ გამოკვლევის მოხდენის დრო უკვე აღარ არის. დაუყოვნებლივ უნდა გამოვარკვიოთ—დაახლოვებით სად რა გვჭირია და დაუყოვნებლივვე მთავრობის შემწეობით მის დაკმაყოფილებას უნდა შევუდგეთ.

ამას წინედ გორის მაზრის მეურნეთა ყრილობა მოხდა და მან გამოიტანა დადგენილება რომ დაუყოვნებლივ მოწვეული იქმნეს მეურნეთა საგუბერნიო ყრილობა. ეს ერთად ერთი გზაა და ასეთი ყრილობის მოწვევა საჭიროა, რაც შეიძლება მალე.

ამ კრებაზედ უნდა იქმნეს მოწვეული ყველა სასოფლო საზოგადოების თითო ან ორი წარმომადგენელი მაინც. ასეთი კრება შესძლებს ჩვენი სოფლის ნამდვილ საჭიროებების გამორკვევას და ამ მწვავე საკითხის რეალ ნიადაგზე დაყენებას შეეცდება.

ასეთი ყრილობის მოწვევა აღდგომის დღესასწაულებისათვისაც მოესწრება, თუ მთავრობა ეხლავე მოახდენს განკარგულებას, რომ გუბერნიის ყველა სოფლის საზოგადოებებს ამის შესახებ ეცნობოს. საქმე დიდად გაადვილდება, თუ მთავრობა ფულით დახმარებას აღმოუჩენს ყრილობაზედ დასასწრებლად გამოგზავნილ სოფლის საზოგადოების წარმომადგენლებს, სოფელი დაღარიბებულია და თავისი ხარჯით ყრილობაზედ წასვლას ბევრი ვერ შესძლებს.

დეპეშები

(„საქართველო“-ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

სენატმა უკვე განიხილა მოსკოვის გრადონაჩალნიკის ადრიანოვის საქმე, რომელიც პასუხის გებაში იყო მიცემული იმის გამო, რომ მოსკოვში არეულობის დროს არა თუ არავითარი ზომები არ მიიღო პირიქით უმოქმედოთ შეჰყურებდა, როცა ბრბო ანგრევდა ქალაქს და ანადგურებდა სხვა და სხვა სავაჭრო დაწესებულებებს. სენატს დაუბრუნებია საქმე და დაუნიშნავს ახალი გამოძიება. ადრიანოვი პასუხისგებაშია მიცემული 341 მუხლის ძალით.

—

ერთს დროს გავრცელებული სხვა და სხვა ნეიტრალ გაზეთებში ხმები შესახებ იმისა ვითომც ავსტრიას გადაეწყვიტოს მოპირდაპირესთან სეპარატიული ზავი ჩამოეგდო, ტყუილი გამოდგა. მინისტრი ტისსა გადაჭრით უარყოფს ამ ხმებს და ამბობს, ამ ხმებს ჩვენი მტრები განზრახ ავრცელებენო.

—

„ბირჟ. ვედ.“-ს ლონდონიდან ატყობინებენ: ავსტრიელებმა იტალიის ფრონტზედ თვითონ დაიწყეს გადამწყვეტ იერიშების მიტანა იტალიელებზედ; ხელთ იგდეს ინიციატივა ბრძოლის ველზედ და ახალი გეგმის განსახორციელებლად ბრძოლას იმავე წესით აწარმოებენ იზონცოზედ, როგორც გერმანელები ვერდენთან.

—

საბერძნეთის სამხედრო მინისტრი მოითხოვს დაუყოვნებლივ მთელს საბერძნეთში გამოცხადდეს სამხედრო წესები.

—

ამერიკის, რუმინეთის და ისპანიის კონსულები მოითხოვენ, ნება დართონ სალონიკიდან წასვლისა.

—

გერმანელებმა იქსკიულის ციხესიმაგრეებზე იერიში მიიტანეს და ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ მათი იერიში მოგერებულ იქმნა. თუნდაც იქსკიულის მიდამოები გერმანელებმა დაიპყრან, ამას მნიშვნელობა არ ექნება.

—

რიგიდან იტყობინებიან: მოულოდნელად ღამით სანთლები ჩააქრეს. ცნობა მიიღეს ქალაქს ცეპელინი დასტრიალებსო.

—

„ბერლინერ ტაგებლატი“ თავისებურად აშუქებს ვერდენის ოპერაციებს. ის გვარწმუნებს რომ ვერდენის ბრძოლა მწყობრად მიმდინარეობს, ფრანგებმა 90 ათასი მეომარი დაჰკარგესო. მათ ვერ უშველის რუსების იერიშები აღმოსავლეთის ასპარეზზე, ვინაიდან ისინი მოგერებულ იქმნენო.

—

ჰოლანდიას ეშინიან მოსალოდნელ სამხედრო საფრთხისა.

—

გენერალი ივანოვი სამხრეთ დასავლეთის ასპარეზის მთავარ-სარდლობიდან გადადგა.

—

ის იმედი, ვითომ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრად ნამყოფი ვენიზელოსი მეფეს სადარბაზოდ მიტომ მიელოს, რომ კვლავ დაენიშნა მთავრობის ხელმძღვანელად, რაც უეჭველია საბერძნეთის დღევანდელ ნეიტრალ პოლიტიკის უარყოფას მოასწავებდა, ვინაიდან ვენიზელოსი მომხრეა ომისა გერმანეთის წინააღმდეგ, ტყუილი გამოდგა. პეტროგრადში მოვიდა ცნობა რომ ვენიზელოსი შეუპყრიათ და ციხეში ჩაუსვამთ.

ქართული პრესა

ბ. ან.-მა „თანამედროვე აზრში“ არჩილ ჯორჯაძის შესახებ რამოდენიმე წერილი მოათავსა. არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობის განხილვას ბ. ანი ასე ასრულებს:

„როგორც ხედავთ, (ა. ჯორჯაძის აზრით), ქართველი ხალხის აღორძინება, მისი სიცოცხლე შეკავშირებულია ინტელიგენციის გამოსვლასთან; გამოვა ის „ერის უფლების“ და „გაერთიანების“ დარაჯათ—ჩვენც მოგვეცემა განვითარების საშუალება, არ გამოვა —ვიქნებით არარაობაში ჩაცვივნულნი. აი ასეთი ნიადაგი გამონახა ჯორჯაძემ თავის პარტიისთვის, აქ კრებდა ის თავის სარდლებს, მოწინავე მებრძოლთ, პარტიის აქტიურ ელემენტებს; მაგრამ რადგანაც ეს ნიადაგი მუდმივ რყევაში და დაუდგრომლობაშია, ჯორჯაძე და მისი პარტიაც მუდმივ რყევას და დაუდგრომლობას განიცდის; ყოველი საზოგადოებრივი ქარტეხილი მათ აფორიაქებს და ბუდიდან აგდებს. ნაციონალ-დემოკრატები უცებ ხდებიან ანარქო-სოციალისტები, შემდეგ უბრუნდებიან ისევ ნაციონალ-დემოკრატიას, ხოლო დღეს ღაღადებენ ეროვნულ სოციალისტობაზე! და ყოველი ეს გასაოცარი უგზო-უკვლობა, ეს უკალაპოტო პოლიტიკური მიმდინარეობა წარმოსდგება იქიდან, რომ პარტიას ფესვები არ აქვს არც ერთ თანამედროვე სასიცოცხლო კლასში, ის ღვიძლი შვილია ცხოვრების ზედაპირზე მდგომი „უილაჯო“ ინტელიგენციის, მუდამ რყევაში მყოფი წვრილი ბურჟუაზიული წრეების და ამიტომ მოკლებულია მკვიდრ საფუძველს.

ახლა ადვილი მისახვედრია, თუ რატომ ასე ებრძვიან დღეს ფედერალისტები „საქართველოს“ ჯგუფს, რომელიც ცდილობს მონახოს რეალური ნიადაგი, დადგეს სასიცოცხლო კლასის თვალსაზრისზე, შემოიკრიბოს ნაციონალური ბურჟუაზია. მათ სურთ საზოგადოება გაყინონ ინტელიგენციის ფრაზეოლოგიაში. შეყარონ ყველა უილაჯო ღ უმოქმედო ბანაკში, ხელი შეუშალონ საზოგადოებრივ დიფერენციაციას და ასე შეეცადონ შერყეული ნიადაგი მოიმაგრონ. ცხოვრების განვითარება, კლასების გაძლიერება და ჩამოყალიბება არყევს ინტელიგენციას, მას ჰყოფს ნაწილებად, აკავშირებს ამომავალ კლასებს და ასე ფედერალისტებს ფეხიდან აცლის ნიადაგს. დღევანდელი ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის დიდათ საყურადღებო ბრძოლაა; პირველათ აქ შეიტაკა უტოპიურ-რომანტიული და რეალურ-ისტორიული ნაციონალიზმი, საიდანაც უეჭველია გამარჯვებული გამოვა უკანასკნელი. ეს ასე ყოფილა ყველა ერში, ასე იქნება ჩვენშიაც. ინტელიგენტური ბურუსი იფანტება, კლასიური გამორკვეულობა ბატონდება...

დღევანდელი „საქართველო“ გაგრძელებაა „ცნობის ფურცლის“ და პარიზის „საქართველოსი“ (კონფერენციამდის), ე. ი. იმ ორგანოების, რომელნიც შეეცადენ გარკვეული კლასიური მიმართულების შემუშავებას, მაგრამ არ დასცალდა, ანარქისტებმა გზა-კვალი აურიეს, სოციალიზმ-ფედერალიზმი თავს მოახვიეს, ვერც ძველი დებულებები დაივიწყეს, სხვა და სხვა მიმდევრობა ერთად ათქვიფეს აუდიტორია ვერ იშოვეს, ახალი კლასების ნაციონალური შემოქმედებითი როლი მიაფუჩეჩეს და თავისი იმედები ინტელიგენციაზე დაამყარეს. ამ ნაციონალურ დომხალს ახლა ბოლო ეღება. მისი კიდევ შენახვა რეაქციონური უტოპიაა...

ჯორჯაძის მიერ აგებული შენობა ინგრევა, და მისი ამბავი რომ ვიცით, დღეს ცოცხალი რომ ყოფილიყო თვითონაც დაანგრევდა, უნდა ვიფიქროთ. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ამ შენობის დანგრევით გამოჩნდება ჯორჯაძის დამსახურება. მხოლოდ მაშინ გაიწმინდება მისი აზრები უტოპიურ-ინტელიგენტურ ბურუსიდან და გახდება მოძღვრებად ამომავალი ბურჟუაზიისა. რეალური ნაციონალიზმი ამით მოიგებს, ის ჯორჯაძიდან ბევრს შეიძენს და მას თავის მამამთავრად გამოაცხადებს...

ახალი ამბავი

◆ **„პორტიუგალ“-ზე** დაღუპულთა სულის მოსახსენებლად კვირას გადახდილ იქმნა სამი პანაშვიდი, ორი ქაშვეთის ეკლესიაში, დაესწრენ მეფის ნაცვლის მეუღლე დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასული და რძალი დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოზის ასული, ხოლო სამხედრო ტაძარში მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე წარჩინებული პირნი და მრავალი პატივის მცემელნი დაღუპულთა.

◆ **თ-დი დ. თ. ნიჟარაძე,** რომელიც თებერვლიდან ავად იყო ამ ჟამად თავს უკედა გრძნობს.

◆ **მშრომელთა ცენტრალური წრე** აწყობს მოწაფეთა ექსკურსიებს ბათომის, ქუთაისის და თბილისის გუბერნიაში საწამლებელ მცენარეულობის შესაგროვებლად.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ** ნახევარ-ნახევარი გირვანქა ქინა-ქინა დაუგზავნა თელავისა, სიღნაღისა, სენაკისა და ზუგდიდის განყოფილებებს,

◆ **ხმოსანთა არჩევნების გარშემო.** მეოთხე საარჩევნო უბანში ერთი ჯგუფის მიერ ხმოსნებად დასახელებულ არიან: ა. მ. არღუთინსკი, ა. ჯ. არუთინიანი, ს. ა. გალსტიანი, მ. ნ. ზარგარიანცი, ზ. ნ. ზორიანი, რ. ი. კაჩაზნუნი, ს. გ. მაზმანოვი, ა. მ. ტერტეროვი, ლ. თ. ტიგრანოვი.

◆ **მორიგი კრება.** დღეს, 22 მარტს, საღამოს 7 საათზე, კრება ექნება ქალაქის სასურსათო კომისიას.

◆ **კრედიტის გახსნა.** თბილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო კომისიის წინაშე, რომ საქმის საწარმოებლად 10.000 მანეთის კრედიტი გაუხსნას ამხანაგობას. როგორც გადმოგვცეს, აღნიშნულ კომისიას მხედველობაში მიუღია ის გარემოება, რომ ამხანაგობის საქმეები მშვენივრად მიდის და გადაუწყვეტია შუამდგომლობა დააკმაყოფილოს.

◆ **საგანგებო კრება.** 19 მარტს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთ საგანგებო კრება ჰქონდათ, რომელზედაც მიწვეული იყვნენ მთავრობისა და კერძო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. კრებამ ითათბირა სოფლის ეხლანდელ გაჭირვების შესახებ და შემდეგი რეზოლიუციები გამოიტანა: 1) მოწვეულ იქმნან წარმომადგენელნი სასოფლო-სამეურნეო და საქველმოქმედო საზოგადოებათა, სამხედრო მიმოსვლათა დაწესებულებისა და მიწად მოქმედების სამინისტროსი. ამ შეერთებულმა კრებამ სისწრაფით უნდა გამონახოს ღონის ძიებანი სათესლე მასალის მოსაზიდად, რათა მინდვრები დაუთესავი არ დარჩეს; 2) შესდგენ ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ადგილას სარაიონო თათბირი ადგილობრივ საჭიროებათა გამოსარკვევად, ხოლო როცა ეს მოხდება, შემდეგ ამისა შესდგეს საგუბერნიო თათბირისა, რომელსაც ყველა კუთხის საჭიროებანი მოხსენდება; 3) ვინაიდან ამ ჟამად ყველა სასურსათო კომისიაში ქალაქების წარმომადგენელნი ღებულობენ მონაწილეობას და სოფელს იქ არავინა ჰყავს თავის მხრივ, შუამდგომლობა აღიძრას, რომ სასურსათო კომისიებში სოფლის ინტერესების დამცველებად და სოფლის საჭიროებათა გასაშუქებლად მიწვეულ იქმნან მუდმივ წევრებად სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

◆ **გაჭირვება სოფლად.** აგრონომმა დალაქიშვილმა ცნობები წარმოუდგინა თბილისის გუბერნატორს. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ დუშეთის მაზრაში წლეულს წარსულ წლებთან შედარებით 30% ნაკლები მიწებია დათესილი. მიზეზი ამისა უმთავრესად მუშა-ხელის უქონლობა და სათესლე მასალის სიძვირეა.

◆ **ქართველ მეპურეთა** ამხანაგობას 1 მარტიდან დღევანდლამდე 100 ათას მანეთის წარმოება ჰქონია.

◆ **საეჭვო საქონელი.** ჟანდარმთა პოლიციამ ვინმე აირაპეტ მელიქ მუშკამბარიანის ბინაზე თბილისში აღმოაჩინა სამანუფაქტურო საქონელი, რომელსაც მას თავისი ცოლის ანნა ბეგლიარის ასულის სახელზე შეუძენია მოსკოვში. გამოძიებამ კი აღმოაჩინა რომ ეს საქონელი ქალაქის კავშირის დავალებით ყოფილა გამოწერილი და 2 მოწმობაც (№ 27538 და 27534) ჰქონია მიცემული თვით მუშკამბარიანს ქალაქის გამგეობის მდივნის ს. ა. დანდუროვის მიერ. ეს საქონელი მუშკამბარიანს გადმოუტანია მოსკოვიდან იმ შეღავათიან ტარიფით, რომელიც მხოლოდ ქალაქთა კავშირს ეძლევა. უფასო ბილეთიც მიუღია მუშკამბარიანს თბილისიდან მოსკოვამდე. ესეც ქალაქის კავშირის შემწეობით. ჟანდარმთა პოლიციის მუშკამ არიანმა მტკიცედ განუცხადა, რომ ეს საქონელი ქალაქთა კავშირის კი არა მის მეუღლის სახელზეა შეძენილი მოსკოველ ფირმებისაგან: 1) ამხ. პონიზოვსკისაგან და 2) ამხ. ტრიაპნიკოვისაგან. ამასთან ერთად მუშკამბარიანმა ამ ფირმებისაგან ანგარიშებიც წარუდგინა. საქმე გამომძიებლის ხელშია გადაცემული.

◆ **ფულის შეგროვება.** დღეს, 22 მარტს, თბილისის სხვა და სხვა უბანში მთელი დღე ყულაბებით ფული შეგროვდება კავკასიის ლაშქრის ჯარისკაცთა საჩუქრების სასყიდლად სააღდგომოდ.

◆ **კოოპერატიული სასადილო.** თბ. გუბერნატორის წინაშე გ. მ. თუმანოვმა, ნ. ე. ამბროსიმოვმა, ექიმ ს. ა. თარხანოვმა და ვ. ი. კვიტკოვსკიმ შუამდგომლობა აღძრეს კოოპერატიულ სასადილოს დაარსების შესახებ.

◆ **ასირიელთა პატრიარქს** მარშიმუნს ამ დღეებში თბილისში მოელიან.

◆ **გადამდები სენულებანი.** გუშინ 21 მარტს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 122, ხუნაგიანი 13, ყვავილიანი 1, სახადიანი 113, საოფლიანი 12 და ხოლეხიანი 1 კაცი.

◆ **შემოიტანეს** თბილისში 20 მარტს: ფქვილი 12 ვაგ., ხორბალი 14 ვაგ.! ქერი 1 ვაგ., ღვინო 2 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., ლობიო 1 ვაგ., კარტოფილი 5 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 8 ვაგონი.

აჭარა.

— 14 მარტს ბათომის გუბერნატორის თანაშემწემ ბ. ლაჩინოვმა კომიტეტის დავალებით ომიდან დაზარალებულ მცხოვრებლებს ფული დაურიგა.

ჭიათურა.

მარტის 27-ს შავიქვის საბჭოს სკოლათა მასწავლებლების კორპორაციაშიო, ქუჩიშვილის მონაწილეობით ჰმართავს „შიოს დილას“. დღესასწაული გაიმართება შუადღისას ბავშვენისათვის, ხოლო საზოგადოებისათვის კი საღამოთი.

ქუთაისი.

შიო მღვიმელის სადღესასწაულო დილა ქუთაისში გაიმართება 25 მარტს და ბავშვებთათვის 26-ს.

— ქუთაისის გუბერნატორად დანიშნულ გრაფ გუდოვიჩს, ქუთაისში ამ დღეებში მოელიან. ვიცე გუბერნატორად ინიშნება კამერ იუნკერი თ-დი შერვაშიძე.

— ვლ. ალექსი მესხიშვილმა თხოვნით მიმართა ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, მომავალ ზამთრის სეზონში რუსული დასისათვის დაუთმოს თეატრი; ამასთანავე ხელმძღვანელობას გაუწევს ქართულ დასსაც.

— ქუთაისის საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა ჩვეულებრივი კრება მოხდება 15 მაისს, მიმდინარე წლის კითხვების გასარჩევად.

— ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრათ ნამყოფმა ბ. სიმონ ალ. ქვარიანმა გუბერნატორს წარუდგინა უმართებულეს სენატის სახელზე საჩივარი, რომელიც შეეხება საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საკრებულოს უკანონო მოქმედებას.

სიღნაღი.

წინა მხრის სოფლებში მოსავალს ძალიან კარგი პირი უჩანს... თაგვი სრულებით გაჰქრა. წვიმიანი და ამასთანავე თბილი ამინდები არ აკლია,—მაგრამ ძალიან ცოტაა ნახნავი და ტიალად, უვაკაცოდ დარჩენილს ოჯახებს—ისევ შიმშილი და ათასი, ამისგან გამოწვეული, უბედურება ელის.

— მთელს ქიზიყში აუტანელი სიძვირეა. ფუთი ფქვილი (თუ ცარიელი ქატო არ არის) ფასობს ოთხ მანათად. ერთი შოლტი საქალამნე—უწინ რომელიც 40 კაპ. ღირდა—ეხლა 2 მან. 2 მ. 40 კაპეიკამდე ფასობს და ათასი სხვა. საერთოდ ხალხი ძალიან შეწუხებულია.

— ამ მოკლე ხანში ქ. სიღნაღში სცენის მოყვარენი დასდგამენ ვ. გუნიას „და-ძმას“.

დ. ლაგოდეხი.

რაოდენიმე კვირაა, რაც აღძრული იქმნა შუამდგომლობა კოოპერატიულ ფურნის „მომხმარეს“ დაარსების შესახებ; 14 მარტს შესდგა კოოპერატივის საზოგადო კრება, კრებაზე არჩეულ იქმნა რაოდენიმე კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა საქმის მოწესრიგება; მომავალი კრება დანიშნულია 20 მარტს, საჭიროა წევრები ბლომად დაესწრონ.

— 13 მარტს, საღამოს რამდენიმე შეიარაღებულმა ბოროტ-გამზრახველმა გასტეხეს ბაბუნაძის სახლი, წაიღეს 300 მან. ფულად, ტანისამოსი და სხვა, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ზომები მიიღო, მაგრამ ამაოდ.

—

ს. კაბალი. ეს სოფელი საბატონო მიწაზეა გაშენებული; ზოგს ნაყიდი აქვს მამული მემამულედან, უმეტესობას კი იჯარით აქვს აღებული; მემამულეებმა იჯარის ფასის მომატება მოითხოვეს, რაოდენიმე გლეხს ყანების დამუშავებაც აუკრძალეს. მდგომარეობა გამწვავებულია. არ იქნა, დღემდის კიდევ ვერ ველირსეთ მასწავლებლის მოსვლას.

ეროვნული ეროსი

იდეათა კატასტროფა, მიმართულებათა არევ-დარევა ისე არას დროს არ ყოფილა ცხადი, როგორც დღეს. იდეური ჯგუფები, იდეური პარტიები, რაზეც ემყარებოდა სოციალისტური მოძრაობა აქ, რუსეთში თუ ევროპაში, დღეს აღრეულან ერთმანეთში, აღარა ესმით რა ერთმანეთის, სრულიად დიამეტრული აზროვნება მეფდება ყოფილ იდეოლოგიურს ღირებულებათა შორის. ჭეშმარიტად, ასეთი კრიზისი არასოდეს არ უნახავს ოდესმე საყვარელ სოციალისტურ მოძღვრებათ და მიმართულებათ!

ვინ არ იცის, თუ რა იყო ამ მოძღვრებისთვის იდეა „სამშობლოსი“, თუ რას წარმოადგენდა „ერი“, „მამული“, „მამულიშვილობა“, რომელთაც უპირისპირებდენ „კოსმოპოლიტიზმს“, „სოციალიზმს!“ ვინ არ იცის, თუ რა დევნას, რა შეურაცხყოფას არ განიცდიდა „სამშობლო“ და მთელი სული და გულის პათოსი შეწირულ [illegible] ერთ ქვეყნიერების გაერთიანებას, რომლის პროტოტიპად აღიარებდნენ მარტოოდენ გაფცქვნილ-გალატაკებულს „მუშათა წოდების“, ანუ „პროლეტარიატს“, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ მარქსი კომუნისტურ მანიფესტში ბრძნულად ირწმუნებოდა, „მას არა აქვს სამშობლო და ბორკილების მეტს არასა ჰკარგავსო“!

მაგრამ ყოველისფერი მიდის, იცვლება და შეიცვალა ასეთი ყალბი შეხედულობაც. ამოიფეთქა ღ მოწინააღმდეგე მხარეთა სოციალისტები განცალკევდნენ, გამოიყვნენ, იბადება მათს შორის გაუგებრობა. აღარა ესმით რა საერთაშორისო ძმობა-ერთობისა და მითიური ინტერნაციონალის მოწოდების ძლიერებისა! ფრანგი ულტრა სოციალისტები ჰერვეც და გედიც, ბელგეთის პროლეტარიატის მესვეურნი ვანდერველდე თუ ფურნემონი, გერმანეთის მთელი სოციალ-დემოკრატობა გარდა ერთი ლიბკნეხტისა ყველა თავის ქვეყნის თვალსაზრისით ხელმძღვანელობს, ყველა იძახის, ბრძოლა ბოლომდის, ბრძოლა ვიდრე ძლიერი მტერი არ გაისრისებაო! ჩვენ არ შევდივართ განხილვაში, ვინაა ამათში მართალი, ფაქტი კი ისაა, რომ თვითეული **თავის** ქვეყნისთვის იბრძვის, მხოლოდ **მისთვის** იწირვის ტარიგადა!

ასეთი კონტრასტები, ასეთივე კატასტროფა მოხდა რუს სოციალისტთა აზროვნებაში. აღარას ვიტყვით პლეხანოვზე, ჩვენი საზოგადოება დიდი ხანია იცნობს მას ჯერ კიდევ ომის დაწყებიდან და მის სახელოვან მოწოდებიდან, რომ იგი არსებითად აღარ განსხვავდება ჰერვე პატრიოტ ტრიბუნისგან, რის გამოც მისი შეხედულობანი ომზე და პატრიოტიზმის შესახებ აღარაფრით არ განსხვავდება ბურჟუაზიულ თვალსაზრისისაგან. უმჯობესი იქმნება თვალის გადავლებით გავეცნოთ მეორე წიგნს, რომელიც მარქსისტებმა გამოუშვეს ამას წინად „სამოზაშჩიტას“ სათაურით. ეს წიგნი ნამდვილი სურათია იმ ტრაგიკომედიისა, რასაც განიცდის დღეს სოციალისტური აზროვნება. აი ეს მხიარული ანარქიაც:

„სამშობლოს“ იდეა უკვე მკვდარს სქემას აღარ წარმოადგენს,—ამბობს ა. პოტრესოვი და შემდეგის მხატვრულის აღმაფრენით გვიხატავს მის სურათს: „მრავალ საუკუნეთა შრომის არენაზე იგი გაძლა ამ შრომის ოფლით, მან შეისვა ის სიყვარული, რომელმაც შესძლო მუშათა და მისი (ე. ი. შრომის) შეკავშირება. ოდესღაც მარქსმა თავის „მანიფესტში“ სთქვა, პროლეტარიატს სამშობლო არ აქვს და ჯაჭვების მეტს არასა ჰკარგავსო, მაგრამ დასავლეთ ევროპის განვითარებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ პროლეტარიატს ბევრი რამ ჰქონია და აქვს დასაკარგი, ეს გახლავს „სამშობლოს“ საზღვრებში მონაგარი დოვლათი, შრომისა და ბრძოლის კაპიტალი“...

(დასასრული იქნება)

ქალაქის არჩევნები

მესამე საარჩევნო უბანში არჩეულ იქმნენ: იოანისიანი (238 თეთრი და 73 შავი), ქანანოვი (247 თეთრი და 61 შავი), მარტიროსიანცი (200 თეთრი და 108 შავი), ნესმაშნი (160 თეთრი და 148 შავი), სამედოვი (157 თეთრი და 151 შავი), სარქისოვი (186 თეთრი და 122 შავი), თამამშავი (217 თეთრი და 91 შავი), ა. ი. ხატისოვი (250 თეთრი და 58 შავი), ი. ს ალიხანოვი (239 თეთრი და 71 შავი), არუთინოვი (209 თეთრი და 98 შავი), ათაბეგოვი (263 თეთრი 46 შავი), ჯაბარი (264 თეთრი და 44 შავი), ჯანაგოვი (212 თეთრი 98 შავი), ი. მ. დოლუხანოვი (293 თეთრი და 16 შავი), და ევანგულოვი (257 თეთრი და 51 შავი).

დამატებითი კრებაზე ასარჩევი ხმოსნის 1 კანდიდატი.

ყუთები ჰქონდათ დადგმული და გაშავდნენ: ბედიანიძე (226 შ. და 80 თ.), ჰასან-ზადე (211 შ. და 97 თ.), მურსაკულოვი (232 შ. და 76 თ.), ღარიბოვი (161 შ. და 146 თ.), კოკიელოვი (236 შ. და 72 თ.), თარხანოვი (169 შ. და 139 თ.) და ტერ-ოჰანეზოვი (243 შ. და 66 თ.).

—

22 მარტს პირველ საარჩევნო უბანში ქალაქის ხმოსნებად არჩეულ იქმნენ: თავ. ლ. ვაჩნაძე (182 თეთრი კენჭი და 122 შავი), ფ. გოგიჩაიშვილი (174 თეთრი და 130 შავი), პ. გოთუა (204 თეთრი და 100 შავი), გ. ჟურული (246 თეთრი და 58 შავი), გ. კეილი (204 თეთრი და 100 შავი), ვ. მუსხელიშვილი (167 თეთრი და 137 შავი) და ს. ჰრელაშვილი (192 თეთრი და 112 შავი).

ხმების დათვლის დროს ბ. ა. მირაქოვმა და ე. პეტროვმა სთხოვეს თავმჯდომარეს, რომ მათი ყუთები მოეხსნა, რაიცა შესრულებულ იქმნა.

ყუთები ჰქონდათ და გაშავდნენ: კ. ანტონოვი (171 შავი და 136 თეთრი), რ. აუშტროვი (217 შავი და 87 თეთრი), თავ. ა. ბებუთოვი (160 შავი და 140 თეთრი), ვ. ვასილიევი (196 შავი და 108 თეთრი), ნ. კესსენიხი (110 შავი და 94 თეთრი), კ. ლეონტიევი (196 შავი და 108 თეთრი), მ. მინიაევი (161 შავი და 148 თეთრი), ფ. მაროზოვი (173 შავი და 131 თეთრი), ფ. მოსევიჩი (232 შავი და 72 თეთრია), კ. ნაიდენოვი (184 შავი და 120), ი. პსაროვი (182 შავი და 122 თეთრი), დ. რუსანოვი (153 შავი და 151 თეთრი), ა. სურენიანცი (204 შავი და 100 თეთრი), მ. ტოროშჩინი (196 შავი და 108 თეთრი), ვ. ჰეჰინაძე (173 შავი და 131 თეთრი), ჩიმიშკიანცი (241 შავი და 63 თეთრი) და შახმურადოვი (236 შავი და 68 თეთრი).

აღნიშნულ უბანში ასარჩევი იყო 11 ხმოსანი და ორი მათი კანდიდატი. ამისათვის რადგან მხოლოდ 7 კაცი იქმნა არჩეული, 4 ხმოსანი და 2 კანდიდატი დამატებით არჩევნებზე უნდა აირჩიონ.

მეორე საარჩევნო უბანში ასარჩევი იყო 15 ხმოსანი და სამი მათი კანდიდატი. 20 მარტს არჩეულ იქმნენ: მ. ავთანდილოვი (221 თეთრი და 136 შავი), ს. ალდადანოვი (209 თ. და 147 შავი), ი. მ. ალიხანოვი (217 თ. და 139 შავი), ა. ალხოვი (220 თ. და 135 შავი), ს. არუთინოვი (195 თ. და 161 შავი), ბ-ნი ენფიაჯიანცი (222 თ. და 133 შავი), მ. ვესელოვზოროვი (267 თ. 89 შავი), ი. ხუნუნცი (253 თეთრი, 103 შავი), გ. თუმანოვი (264 თეთრი და 91 შავი), ტერ-ზახაროვი (193 თეთრი და 160 შავი) ი. თამამშევი (22[illegible] თეთრი და 133 შავი), პ. მ. დოლუხანოვი (205 თეთრი და 150 შავი), მ. სვეშნიკოვი (225 თეთრი და 130 შავი), მ. ნეპრინცევი (227 თეთრი და 125 შავი), პ. გედევანიშვილი (193 თეთრი და 163 შავი,) ნ. წვერავა (190 თეთრი და 167 შავი) დ. ი. გამყრელიძე (187 თ. და 169 შავი).

როგორც გამოირკვა, ბ-ნ პ. გედევანიშვილს არც საკუთარი ცენზი ჰქონია და არც რაიმე რწმუნების ქაღალდი, ასე რომ იმის ნაცვლად სხვა ვინმე უნდა აირჩიონ. ამ რიგად სულ არჩეულ იქმნა 16 კაცი, რომელთა შორის 15 ხმოსანი იქნება და ერთი მათი კანდიდატი. დამატებითი არჩევნებზე ასარჩევია კიდევ 2 კანდიდატი.

ყუთები ჰქონდათ დადგმული და გაშავდნენ: ვ. ბარცოვი (192 შავი და 164 თეთრი), ე. ციგანკოვი (202 შავი და 153 თეთრი), ს. გულულოვი (221 შავი და 135 თეთრი), ნ. ტურბოვიჩი (183 შავი და 173 თეთრი), ა. გურგენოვი (243 შავი და 113 თეთრი), ნ. დავიდოვსკი (202 შავი და 154 თეთრი), ტ. ქეფინოვი (228 შავი და 127 თეთრი), კ. საპიცკი (190 შავი და 166 თეთრი), ნ. ნიკონოვი (217 შავი 138 თეთრი) ნ. არჯევანიძე (191 შავი და 165 თეთრი), ი. ელიაშვილი (186 შავი და 170 თეთრი), ვ. ყიფიანი (194 შავი და 162 თეთრი), გ. სარაჯიშვილი (180 შავი და 176 თეთრი) და გ. ლასხიშვილი (195 შავი 160 თეთრი).

ხმების დათვლის შემდეგ, კრების თავმჯდომარემ გ. დ. ჟურულმა წაიკითხა 2 განცხადება პ-ნ ნ. დავიდოვსკისა, 1 განცხადება ნ. ტურბოვიჩისა და 1 განცხადება კ. საპიცკის არჩევნებზე მომხდარ უწესოების შესახებ. განცხადებების ავტორებს აღნიშნული აქვთ, რომ კრების დარბაზში ქალაქის გამგეობის წევრი ბ-ნი ათაბეგოვი განკარგულებას იძლეოდა, რაის უფლება მას არა აქვს, რადგან ეს უფლება კრების თავმჯდომარეს ეკუთვნის, აგიტაციას ეწეოდა ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ და საერთოდ წეს-რიგს არღვევდაო. როცა ეს გარემოება მოახსენეს კრების თავმჯდომარეს და იმან ბ-ნი ათაბეგოვი დაითხოვა დარბაზიდან, ეს უკანასკნელი არ დამორჩილდა თავმჯდომარის განკარგულებასო. ავტორები განცხადებისა მოწმეებსაც ასახელებენ. აღნიშნული ამომრჩევლები სთხოვენ თავმჯდომარეს, რომ მათი განცხადება არჩევნების ოქმს მიჰკერდეს. ბ-ნმა ათაბეგოვმა, რომელიც იმ დროს საარჩევნო დარბაზში იყო, თავის გასამართლებელი სიტყვა მოითხოვა, მაგრამ თავმჯდომარემ ამის ნება არ მისცა მას და სთხოვა, რომ თქვენი პასუხი წერილობით წარმოადგინეთო.

მესამე შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა თბილისში

ამხანაგობაში წევრებად შედიან თბილისის ქართველი მეპურეები, რომელთა რაოდენობა უდრის $^4/_5$-ს, ხოლო დანარჩენი ამხანაგები არიან სხვა დარგის ხელოსნები.

ამხანაგობის წევრთ საგანგებო კრება ჰქონდათ 16 და 19 მარტს. პირველ კრებაზე თავმჯდომარეობდა დ. ყ. ჩხეიძე, ხოლო მეორეზე—ვ. ბ. ჩლაიძე.

კრებამ შემდეგი დადგენილებანი გამოიტანა:

1) მიიღოს ამხანაგებად ავლაბრის მეთორნეთა ჯგუფის წევრები და რამდენი ფქვილიც აქვს იმ ჯგუფს, შეიძინოს იგი იმ ანგარიშით, რომ ვაგონზე 30 მანეთი მოაგებინოს მას.

2) მიიღოს ამხანაგებად ვ. ჩლაიძის ჯგუფის წევრები და ამ ჯგუფიდანაც შეიძინოს ფქვილი იმ ანგარიშით, რომ ვაგონზე 50 მანეთი მოაგებინოს ჯგუფს.

3) ორივე ზემო აღნიშნული ჯგუფი ამის შემდეგ აღარ იარსებებს.

4). ჩაეწეროს ამხანაგობის წევრად კახეთის წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა კავშირში და ამ საქმის მოწესრიგება მიენდოს გრ. დიასამიძეს ვას. ჩლაიძეს, ზაქ. ბიჭაშვილს და ლავრ გოგოშიძეს.

5) გადიდდეს საწევრო გადასახადი 10 მანეთიდან 20 მანეთამდე.

6) დაევალოს ამხანაგობის გამგეობას იშუამდგომლოს, საცა ჯერ არს, რომ სახელმწიფო ბანკმა კრედიტი გაუხსნას ამხანაგობას 40 ათას მანეთამდე, რომელთაგან 10 ათასი მანეთი უნდა მოხმარდეს საშუამავლო ოპერაციების წარმოებას.

7) დაევალოს აგრეთვე ამხანაგობას იმეცადინოს, რომ კერძო ბანკებშიაც მოიპოვოს ამხანაგობამ კრედიტი 40 ათას მანეთამდე.

8) ნება ჰქონდეს ამხანაგობას კერძო კაცთა და სხვა დაწესებულებათაგანაც აიღოს ფული სესხად, საჭიროება თუ მოითხოვს, მაგრამ სარგებელი ფულისა უნდამიეცეს არა უმეტეს 8%-სა.

9) დაევალოს გამგეობას შეიძინოს ამხანაგობის სახელზე 4 აქცია მოსკოვის სახალხო ბანკისა და ამხანაგობას მოუპოვოს კრედიტი აღნიშნულ ბანკში 10 ათას მანეთამდე.

10) სესხის გაცემის დროს გამგეობამ მხედველობაში იქონიოს მთხოვნელის ქონებრივი მდგომარეობა და უპირველესად სესხი მისცეს იმ ამხანაგთ, რომელნიც ჟამთა ვითარების გამო მომეტებულ გაჭირვებას განიცდიან.

11) ოპერაციები ამხანაგობისა სწარმოებდეს საქმე დღეებში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 9 საათამდე, ხოლო უქმე დღეებში—დილის 10—12 საათამდე.

12) არჩეულ იქმნა კომისია, რომელშიაც შედიან ვანო ლებანიძე, მალაქია არჩვაძე და იასონ ნათელაძე; ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს, რამდენი ფქვილი სჭირდება თითოეულ მეთორნეს დღიურად და ამის კვალობაზე უნდა განაწილდეს ფქვილი მეთორნეთა შორის.

შემდეგ კრებამ განიხილა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ამხანაგობისათვის ბინის ქირა და მოსამსახურეების ჯამაგირები ნაანგარიშევია 8000 მანეთამდე. გამგეობის თავმჯდომარე გრ. ნ. დიასამიძე უსასყიდლოდ ემსახურებოდა ამხანაგობას. ეხლა კრებამ გადასწყვიტა ჯამაგირი დაენიშნა მისთვის, მაგრამ ბ-ნმა გიგო დიასამიძემ გადაჭრით უარი განაცხადა რაიმე სასყიდლის მიღებაზე. კრებამ ერთხმად დაადგინა,—გამგეობის პირით და გაზეთს საშუალებით უღრმესი მადლობა გამოეცხადოს ბ-ნ გ. დიასამიძეს დაუღალავ, ნაყოფიერ და უსასყიდლო შრომისათვის.

ბოლოს მოხდა არჩევნები. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: გ. გორდეზიანი, (თავმჯდომარე), იოსებ მაირაშვილი და ილიკო აბიაშვილი; მათ კანდიდატებად—ს. ბურდილაძე, ო. ომიაძე და ნ. გოგნიძე. გამგეობის წევრების კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: თომა მაირაშვილი, ვანო ლებანიძე და გ. არჩვაძე.

ბრძოლა ქურდ-ბაცაცებთან

საშინელ მდგომარეობაშია დღეს ჩავარდნილი ჩვენი სოფლები: მუშა ხელი მოისპო, ოჯახის ბურჯნი და მოჭირნახულენი ბრძოლის ველზე ლევენ სულს, სოფლებში მოხუცებულებისა და ავადმყოფ-დავრდომილების მეტს მამაკაცს ვერ შეხვდებით... ომის საჭიროებისათვის გლეხს, უკანასკნელი იმედიც, თავისი მარჩენალი საქონელიც კი ხელიდან გამოაცალეს. ზედიზედ მოუსავლობის გამო სიმშილობამ ხრონიკული ხასიათი მიიღო... ზღაპრულ სიძვირეს და ჩარჩების თავ-ახსნილობას ხომ საზღვარი აღარ უდევს. გადასახადები დღითი-დღე ემატება სოფელს, შემოსავლის წყარო არსად სჩანს. ამას ზედ დაუმატეთ ჩვენი ხალხის ტრადიციული ჩვეულებებით გამოწვეული ხარჯები და თქვენ წინ გადაიშლება საშინელი, უნუგეშო სურათი, რომელსაც გადაფარებული აქვს შავი, სამგლოვიარო ძაძა. ამ საერთო უბედურებასთან ჩვენ დაბა-სოფლებში თავი იჩინა ქურდ-ბაცაცობამ; ამ ბოლო დროს მათი სამარცხვინო მოქმედება ეპიდემიურ სენივით ვრცელდება, ისედაც სულ-შეწუხებულ ხალხს ეს ნაძირალები ნავთს უსხამენ ცეცხლზე; სწორედ ასეთ ისტორიულ მომენტის დროს იციან ამ ბნელმა ძალებმა თავის გამოჩენა; სტეხავენ სახლებს, მიაქვთ ყველაფერი, რასაც ხელთ მოიგდებენ,—საქონელი, ტანისამოსი, სანოვაგე, ფული და სხვა; პურის საყიდლად რომ ვინმემ ხარი გაჰყიდოს, იმასაც კი ამოგლეჯენ ჯიბიდან. ადმინისტრაცია, არამც თუ სუსტი გამოდგა მათ ასალაგმავად პირიქით, როგორც ამას არა ერთი და ორი მაგალითი ამოწმებს, ზოგიერთი წვრილფეხა პოლიციელები ხელსაც უწყობენ და მფარველობენ ამ ნაძირალებს. რეაქციის გამარჯვების პირველ ხანებშიაც ამოძრავდენ ეს ბნელი ძალები, პოლიციამ მათ ვერაფერი მოუხერხა, სანამ თვითონ ხალხი არ ჩაერია საქმეში; დღესაც საჭიროა თვითონ ხალხმა გამოუცხადოს ბრძოლა ამ ქურდ-ბაცაცებს, თვითონ ხალხმა უნდა დაიფაროს თავი ამ ნაძირალებიდან მხოლოდ ხალხის შეერთებულ ძლიერ ხმას შეუძლიან თავზარი დასცეს ამ ნაძირალებს და ალაგმოს მათი სამარცხვინო საქციელი, გარეშე ძალა ასეთ შემთხვევაში სუსტია; საშიში არაფერია, ერთი და ორი კაცისათვის მართლაც ძნელია მათთან ბრძოლა, მაგრამ ხალხის საერთო ძალას მათი უკულმართობა ვერას დააკლებს; თვით ხალხმა უნდა გამოუცხადოს ბრძოლა ამ ქურდ ბაცაცებს თუ უნდათ დაასამარონ ეს შავი ძალები...

გრ. საქარიქედელი.

წერილი აჭარიდან

(ქართველ ქალთა საგულისხმოდ)

„საქართველო"ს მე-55 ნომერში წავიკითხე დ. პ. ქ-ნ ნინო ყიფიანის წერილი „რა დავაშავეთ"?. მართალი გითხრა თბილისელ ქართველ ქალებთან ერთად მეც გული მეტკინა. მართლაც რა დააშავეს ქართველმა ქალებმა, რომ ღირსად არ იცნეს დიასახლისებად დახვედროდნენ ძვირფასს სტუმრებს—ქართველ მუსლიმანებს, აჭარა - ქობულეთის წარმომადგენელებს. ნუ თუ ქართველი ქალები, ქ-ნ ნინოს გოდებისა არ იყოს, ღირსნი არ იყვნენ იმისი, რომ თავის თვალით ეხილათ ძვირფასი ძმები, და-ძმური სიყვარულით ხელი ჩამოერთმიათ და პირადათ, უშუამავლოთ გადაეცად თავიანთი გრძნობა სიყვარულისა და ერთობისა. ვინ არ იცის რომ ქართველ მუსულმანთა ქალები მოკლებულნი არიან უცხო მამაკაცთა ხილვას, მათთან მუსაიფს და ჩვენც რომ ასე მოვიქეცით, ჩვენც რომ დავმალეთ ჩვენი „ხანუმები", განა ამით მათ პატივი ვეცით? არა ბ-ნებო მუსლიმანთ, უმაღლესი პატივისცემა (და მეტადრე ქართველი მუსლიმანის) ის არის, როცა მას არ მოარიდებ, სწორეთ იმას, რასაც თვით გარიდებს. თუ რომელიმე ქრისტიანმა დაიმსახურა ისეთი პატივისცემა, რომ მას აღარ მოარიდეს და უპირრიდოთ (რიდეჩადრი) უჩვენეს ქალი, ამით ქრისტიანს შეუძლიან იამაყოს, რადგან ეს არის უმაღლესი პატივისცემა, უდიდესი ნდობა და პატივისცემის სამაგიერო დაუფასებელი ჯილდო. როცა აჭარას ენით გამოუთქმელი უბედურება დაატყდა და როცა ქართველებმა აჭარელთა უბედურება თავის უბედურებად მიიჩნიეს და მათ დასახმარებლად ახმაურდნენ, ამით გულაჩვილებულმა აჭარაში ყველა გავლენიანმა ბეგმა, ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილმა, ნიშნად უღრმესი მადლობისა შეკრებილი აჭარლები დასწყევლა დააფიცა („სალავათი" უთხრა) და შეაჩვენა ის აჭარელი, ვინც ამიერიდან ქართველ ქრისტიანებს ქალს მოარიდებდა და უპირ-რიდოთ არ აჩვენებდა.

ჩვენ კი ამის შემდეგ ვმალავთ ქალებს და მით ზოგიერთ ფანატიკებს საბაბს ვაძლევთ სთქვას, თავიანთ ქალებს ქრისტიანებიც მალვენო. არ აჯობებდა, რომ ძვირფას სტუმრების გამასპინძლება მივვენდო თვით ქალებისთვის, ამით ჩვენ მათ ცოცხალ მაგალითს მივცემდით, თუ რა სასიამოვნოა ქალების დიასახლისობა. ქალების მიერ წარმოთქმული სიტყვები, ლექსები, სალამი, სიმღერა, ჩონგური და ზედ ღიღინი ეს იქნებოდა ჩვენი სტუმარი ძმების უმაღლესი პატივისცემა. ასე არ მოვიქეცით. მაგრამ ახლა გმართებთ, ქალებო, თავის გამოჩენა და ცოცხალი მაგალითით, ცოცხალი საქმით იმისი დამტკიცება, რომ თქვენ ქართველ მამაკაც-დემოსთენებზე მეტად გიყვართ ქართველი მუსლიმანები და თქვენც მზად ხართ უთხრათ მათ დური სიტყვა და მასთან სიტყვა საქმეთ აქციოთ, ოცნებასა და იდეიას ხორცი შეასხათ—ქართველ მუსლიმანთა გულის მოსაოხად საქმე გააკეთოთ. საბრალოა ვინც მხოლოდ წარსული გმირებით ამაყობს და ახლა არ ყავს გმირი. მჯერა, რომ ნინო, ქეთევან-თამარის სული არ გამქრალა, თქვენშია დასადგურებული, ნაღვერდალშია მიმალული და სულის შებერვა ეჭირვება რომ ნაპერწკლები დააყაროს და გარშემო წყვდიადი გაანათოს. მჯერა ეს და ამიტომ ვკადნიერდები და აი რას გირჩევთ: თბილისში იყვნენ აჭარელ-ქობულეთლების წარმომადგენლები, ქართველ მუსლიმანთა არისტოკრატია —„იაღი" (ნალები), კარგი იყო ისინიც გენახათ, მაგრამ თვითონ ხალხი მაინც ნახეთ. ვეთანხმები ქ-ნ ნინოს, რომ ქალს დიდი როლი აქვს დაკისრებული. ჩვენ მამაკაცებმა ვნახეთ მუსლიმანი მამაკაცები, ავად თუ კარგად შევძელით გვეთქვა მათთვის ძმური სიტყვა, ახლაც აქ ვტრიალებთ (კაცები) და შეძლებისადაგვარად ვცდილობთ საქმის გაკეთებას. მაგრამ ჩვენ არ გვაქვს საშუალება აქაურ ქალებსაც ვუთხრათ ძმური სიტყვა, გავაგებინოთ რა ხდება „დუნია-მემლექეთში". კარგად იცით, რომ აქაურმა ქალებმა ენით გამოუთქმელი გაჭირვება ნახეს; მათ არ ასცდათ გაუპატიურება, დამცირება, ქმრისა და ძმის სიკვდილი, კლდე-ღრეში წოწიალი, სიმშილი, სიცივ-სიტიტვლე, უდროვოდ მშობიარობა, ავადმყოფობა, ჭკუიდან შეშლა (შიშის გამო) და სხვა, რომელი ერთი ჩამოვთვალო, განა კალამს შეუძლია ასწეროს და გონებას—წარმოიდგინოს ყოველივე ის, რაც აქაურ ქალებს გადახდათ?!

(დასასრული იქნება)

საჭირო დაჩქარება

(წერილი სამეგრელოდან)

დღემდის როგორც იყო მოიტანა თავი ჩვენმა საზოგადოებამ შარშანდელი ცუდი წლის მოსავლით, მაგრამ დღეს უკვე სრულიად გამოცარიელდა ხალხს ბეღელ-ნალია. სიმინდის ფასმა 8—9 აბაზამდე აიწია ფუთზე და იწყება ნამდვილი სიმშილობა.

ეს რომ ასე მოხდებოდა, უკვე შარშან იცოდა, როგორც საზოგადოებამ აგრეთვე ადგილობრივმა მთავრობამაც და კიდევაც ამიტომ იყო, რომ გასული წლის, მგონი, გიორგობისთვეშივე შეიკრიბა აქ ცნობები დახმარების საჭიროების რაოდენობისა. სიებში შეტანილი იყო, თუ ვის რამდენი დასჭირდებოდა საკვები და რამდენი სათესლე სიმინდი. ცნობები და შუამდგომლობა დიდი ხანია წარდგენილ იქმნა სადაც ჯერ-არს, მაგრამ სამწუხაროდ, აქეთ ჯერ არაფერი სჩანს.

ამასობაში ხვნა-თესვის დრო უკვე დგება და სათესლე სიმინდი გლეხს სწორედ ეხლა სჭირია.

ჩვენი კანცელარიების წყალობით ჩვენში ყველაფერი იგვიანებს ხოლმე. სათესლე სიმინდის მიღების დაგვიანებას მოჰყვება თესვის დაგვიანება; ხოლო თესვის დაგვიანებას ისევ ცუდი მოსავალი და ცუდ მოსავალს კი—ისევ დამშევა, რომელიც უკვე ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების ქრონიკულ მოვლენად ლამობს გადაქცევას.

ამიტომ საჭიროა, ჩვენი დაწესებულებები და კერძო პირებიც, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება და კავშირი აქვთ ამ საქმესთან, შეეცადონ სათესლის მოტანის დაჩქარებას. საჭიროა დაჩქარება აგრეთვე საკვები სიმინდის მოტანისა, რომლის დაგვიანებამ შარშან ბევრი მეოჯახე აიძულა ჩვენში ნახევარ ფასში გაეყიდნა მარჩენალი ხარები და დღეს კი თოხის ამარაა დარჩენილი.

კაი.

დაბა-სოფლები

დაბა ცხინვალი. გამოზაფხულდა, მაგრამ ჩვენს მხარეს აღარ ახარებს ბუნების გამოღვიძება. მინდვრები სდუმან. მხვნელ-მთესველნი ისევ კარჩაკეტილები არიან. ანდა ვინ მოვა, როდესაც მშრომელი ხელი არსად არის.. ჩვენი ქალების ანაბრად დატოვებული მამულ-დედული საცოდავ სანახაობას წარმოადგენს. საშინელი სიძვირე ხომ ყოველისფერს აღემატება. ვის გაუგონია, მაგალითად, ცხინვალში ქათამი შვიდი-რვა აბაზი? ვის გაუგონია ამ მთის გასალებში ცხვარი 25—30 მანეთი ღირდეს? ვის გაუგონია კოკა ღვინო ცხრა და ხშირად ათი თუმანი? ან ფუთ ვაშლს 2 მან. და ათ შაურად რომ წინდაწინვე ჰყიდდენ, ეს მხოლოდ პირველი შემთხვევაა! საზოგადოდ ამ სიძვირემ, ამ აუტანელმა ცხოვრებამ ბევრს თავზე ხელი ააღებინა. შეუსარავი და გაუსხლავი ვენახები, დაუმუშავებელი მინდვრები უნებურად ახელებდა მათ, ვინც დარჩნენ შინა. ფარულად თუ აშკარად ესენი ყაჩაღებად ცვივდებოდნენ და მსხვერპლსაც არ ერიდებოდნენ. აი, ეხლაც შეიპყრეს ხუთი კაცი. სამი აქედან სოფ. ძარწემიდან არიან (ცხინვალიდან შვიდ ვერსზეა დაშორებული), ჯოველიძე მიტრა, სიკო გუნდიშვილი, გოძიძე ნიკა. ორი კიდევ ს. ფხვენისიდან არიან: ქერმენა გაბაშვილი და ლუკა ომაძე. ამათ ჰბრალდებოდათ თიკო პაპელაშვილის მოკვლა, რომელსაც წაართვეს ფული და სახლის ავეჯეულიც გაიტაცეს. საოცარი ის იყო, რომ დასახელებულ პირთაგან არც ერთი არ ყოფილა გავარდნილი, სოფელშივე ტრიალებდნენ და ქალის დამარხვაში დიდი მონაწილეობაც მიიღეს. სოფელს აკვირვებს აგრეთვე მიტრა ჯოველიძის საქციელი, რადგანაც მას იცნობდნენ როგორც ერთს პატიოსან და სოფლის სათვალავ ბიჭს. მაგრამ ამ წყეულმა დრომ რა არ შესცვალა! რამდენი ასეთი მიტრა ჯოველიძე გაუბედურდა და ვინ იცის, რამდენი კიდევ გაუბედურდება. შიმშილობა და სულის გამწარება თავზე ხელს აღებინებს ყველას...

დაუთბეი.

სამძიმრის ბარათი

ჩვენ, წმინდა ნინოს სახელობის საავადმყოფოში მწოლნი დაჭრილ-დაავათმყოფებულნი ცხარე ცრემლებით დავსტირით, ჩვენ საავადმყოფოში ნამყოფ სათნოების დის **ანეტა სოლომონის ასულის ანდრონიკაშვილის** უდროვოდ დაკარგვას, რომელიც 17 მარტს შავ ზღვაზე მოგზაურობის დროს „პორტუგალ-"ზე დაიღუპა.

წმ. ნინოს საავადმყოფოში მწოლნი დაჭრილები

ნარევი

ფრანგულ გაზეთში მოთავსებულია შემდეგი ცნობა: დღევანდელ ცხოვრებაში იმარჯვებს იმისთანა ადამიანი, რომელიც თავის აზრს თუ მოქმედებას თვით ცხოვრებას შეუფარდებს. გენიოსები მუდამ ჩამორჩენილნი არიან, ხოლო ცხოვრების შვილნი მუდამ ზეიმობენ. ორთქლმავალის პირველი გამომგონი გაჭირვებით ცხოვრობდა, ტელეგრამის გამომგონიც აგრეთვე გაჭირვებას განიცდიდა. ეს ერთის მხრით იმით აიხსნება, რომ ამისთანა გამოგონებას მდიდარი ხალხი არ ენდობა და ფულს არ იმეტებს: ვაი თუ გავაკეთო და ხეირი ვერ ვნახოვო. ხოლო რაც შეეხება [illegible] გონებას, ის ადვილად ჰპოვებს გასავალს, ქინძისთავების გამომგონმა პირველ ერთის წლის განმავლობაში შეიძინა 20 მილიონი მანეთი! დასასრულ წერილის ავტორი დაასკვნის: ასეა გენიოს მწერლების ბედიც, ხოლო ახლად გამოჩეკილ ფუტურისტებს და ქუჩის მწერლებს თავიანთ აურზაურით შეუძლიანთ იამაყონ, რომ სახელსაც მალე გაითქვამენ ხოლმე და სახრავსაც მალე იშოვნიანო.

ჩვენი ფოსტა

ჩვენს რედაქციას მრავალი წერილი მოზდის, სადაც სხვა და სხვა ქალაქების მოსწავლე ქალ-ვაჟნი გულის წყრომას უთვლიან „ცისფერ ყანწებს". მათ საგულისხმოდ ვაცხადებთ რომ ასეთ წერილებს არ ვათავსებთ, ჩვენს გაზეთში, რადგანაც „ცისფერ ყანწებს" ასეთი ყურადღების ღირსად არ ვსცნობთ. არის ხოლმე ისეთი მოვლენა, რომელსაც მწყრალი დუმილით უნდა ვუპასუხოთ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

		№	ს. წ.
ბათომისკენ	სამგ.	მ. 9 .	8.53 საღ.
„	საფ.	„ 3 .	9.58 დილ.
ხაშურისკენ	სამგ.	„ 19-20	3.20 ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი	„ 4 .	10.20 საღ.
„	ჩქარი	„ 6 .	12.8 დღის
„	სამგ.	„ 8 .	11.13 ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„ 4-3 .	11.13 ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ.	მ. 4 .	9.30 საღ.
„	სამგ.	„ 10 .	9.51 დილ.
ბაქოდან	საფ.	„ 3 .	9.3 დილ.
„	ჩქარი	„ 5 .	7.41 საღ.
„	სამგ.	„ 7 .	1.42 ნაშ.
ხაშურიდან	სამგ.	„ 19-20	7.25 დილ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„ 4-3 .	8.8 დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან . .	8	ს. 58	წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9	„ 23	„	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9	„ 43	„	„
ვაზიანიდან . .	10	„ 42	„	„
იორიდან . . .	11	„ 35	„	„
საგარეჯოდან . .	12	„ 17	„	„
ბადიაურიდან . .	1	„ 15		დღის
მელაანიდან . . .	2	„ 37	„	„
გურჯაანიდან . .	4	„ 08	„	„
ვაჩნაძიანიდან . .	4	„ 58	„	„
თელავში მიდის .	5	„ 35	„	„
გურჯაანიდან . .	4	„ 18	„	„
კარდენახიდან . .	4	„ 50	„	„
წნორის-წყალ. მიდის	5	„ 15	„	„

თელავიდან

თელავიდან . . .	8	ს. 58	წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან .	9	„ 45	„	„
გურჯაანიდან . .	10	„ 46	„	„
მელაანიდან . .	12	„ 02	„	„
ბადიაურიდან . .	1	„ 13	„	დღის
საგარეჯოდან . .	2	„ 15	„	„
იორიდან . .	2	„ 53	„	„
ვაზიანიდან . . .	3	„ 40	„	„
ნავთლუღ-კახეთ.	4	„ 31	„	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4	„ 46	„	„
თბილისში მიდის .	5	„ 01	„	„
წნორის-წყლიდან .	9	ს. 16	წ.	დილ.
კარდანახიდან . .	9	„ 46	„	„
გურჯაანში მოდის	10	„ 16	„	„

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოხნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გამზევის შესახვევი № 4.